



ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/
Akhali Ganatleba

№4 (918) განმოდის 1998 წლიდან

25.02-03.03.2021

საქართველოს 1000-ე მუშაკის დღე



25 თებერვალს მე ვივრძენი, თუ როგორ შემოვიდა წანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და წანში მუდმივი ურუოლა მივლის, ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვვრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამეხრება და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასავე ველარ მოვასწრებ.

მზესაძის ვინა

25 თებერვალი საუკუნის შემდეგ

ლალი ჯვალაძე

როგორია მოსწავლეების თვალთ დანახული ოკუპაცია – ამ თემაზე სასაუბროდ წარმართვის №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები შევეჩვიეთ. ცხადია, ეს არჩევანი შემთხვევითი არ არის, რადგან წარმართვის დეპარტამენტის დასახლება ყველაზე თვალსაჩინოდ გვაჩვენებს რა ნაკვალევს ტოვებს ოკუპაცია მშვიდობიან მოსახლეობაზე.

უფროსკლასელებთან ინტერვიუების ჩანარისას მივხვდი, რომ ჩემთვის ემოციურად ვერასოდეს ჩანაცვლებს ოკუპაციის თემას ვერც ერთი სხვა თემა; მათი სახით თითქმის ვსაუბრობდი, როგორ დაგვტოვებინა, როგორ დავტოვეთ სახლი, მერა შევუდექით უღელტეხილს – გოლგოთის გზას, რომელსაც არ ვიცოდით, სად მივყავდით და არც ის ვიცოდით, სად იქნებოდა ჩვენი გოლო გარეგანება. მერა როგორ გაგვრქადა ცხოვრება სიზმარებად ქცეულ აფხაზეთში, ხშირად სიზმარში კადრები კი აღარ იცვლებოდა, ერთი და იგივე სიზმარი მიმდრეოდდა... წლები განმავლობაში, როგორ ვცხოვრობდით მოლოდინით, რომ დაგვტოვებდით, თანაქალაქელებთან და თანასოფლელებთან შეხვედრა როგორ იწყებოდა ფრაზებით, რას ფიქრობ, დავტოვებდით?.. მერა, ნელ-ნელა, ფრაზები გაიცვალა... მხოლოდ საკუთარ თავთან შემორჩა დავტოვების სურვილიც...

16 წლის შემდეგ, ისევ დავტოვდა რუსული აზრებისა (თუმცა, არც არ-



სად წასულა), რომელმაც ამ პაპების ოჯახები აქცია ისეთივე სიზმარად საკუთარ სამოქალაქო, როგორც, თავის დროზე, ასიათასობით ოჯახი აფხაზეთიდან... მერა თითქმის „ნორად“ დამკვიდრდა მცოცავი ოკუპაცია, მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება და იმისთვის გასამართლება, რომ საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ოკუპანტების ნებართვის გარეშე გადაადგილდებოდნენ. საუკუნის შემდეგ რუსული ოკუპაცია შეუქცევად პროცესად გადაიქცა... 1921 წლის 25 თებერვლიდან 2021 წლის 25 თებერვლამდე თაობების ცნობიერებაში რუსული ოკუპაციის ნაკვალევი კიდევ უფრო გაღრმავდა.

მარიამ მაჭარაშვილი, მე-12 კლასელი:

როცა ახალგორში რუსები შემოვიდნენ, მე მაშინ 4 წლის ვიყავი, დეტალები არ მახსოვს, მაგრამ კარგად დამახსოვრდა შეშინებული ადამიანების სახეები, რომლებიც ცდილობდნენ რამე გაეკეთებინათ, რომ თავი დაეღწიათ დიდი უბედურებისთვის. ჩემი ოჯახის წევრებსაც ძალიან ეშინოდათ, მე კიდევ ვერ ვხვდებოდი ასე რისი ეშინოდათ, ვერ ვაცნობიერებდი რა იყო ომი...

წლების შემდეგ, გავიზარდე და გავაცნობიერე, რომ ის შეშინებული ხალხის სახეები იყო ომი, რომ ოკუპაციის შედეგი იყო ჩვენი სახლ-კარის, მიწის, ახლობელი ადამიანების, მათთან ყოველდღიური ურთიერთობების დაკარგვა.

დავსახლდით სახელდახელოდ გაშენებულ დასახლებაში, სადაც ყველას ერთნაირი სახლი და სადარდელი გვექონდა. მართლა ძალიან რთული აღმოჩნდა ეს ყველაფერი და კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა ის, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ მივდივარ ჩვენს საცხოვრებელში, მუდმივად მენატრება სახლი, რომელიც ჩემს ბავშვობას უკავშირდება. ასეთი განცდებით ვცხოვრობთ ოჯახში დედა, მამა და ჩემი უმცროსი ძმა, რომელიც აქ, დევნილობის დროს დაიბადა.

ჩემთვის ყველაზე დიდი ქართველი ილია ჭავჭავაძეა, მისი შემოქმედება ჩემში სამშობლოს შეგრძნებებს ამძაფრებს, მუდმივად უბიძგებს და აფხიზლებს ქართველებს, რომ გამოიღვიძონ, რამე გააკეთონ სამშობლოსთვის. ასეთი გამოფხიზლება, პერიოდულად, ნამდვილად გვეჭირდება.

ნესტან შიქაშვილი, მე-12 კლასის მოსწავლე:

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა ვიყავი, ომი საკმაოდ დეტალურად მახსოვს, ძალიან მკვეთრი შეგრძნებებით, საკმაოდ რთული იყო ომის შემდგომი პერიოდიც. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ჩემთვის, ბავშვისთვის ძალიან რთული აღმოჩნდა. ჩამოგვასახლეს წეროვანში, სადაც არავის ვიცნობდით. უცხო გარემოსთან შეგუება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ამ პერიოდში ახალგორში მაინც ვახერხებდით ჩვენს სახლში გადასვლას, ე.წ. „პროპუსკით“.

ახლა განსაკუთრებით გამაფრთხილებს მონატრების შეგრძნება, რადგან ვერც საბუთით და ვერც უსაბუთოდ იქ ველარ შევიდვარ და ბებო და პაპა, უკვე ორი წელია, აღარ გვინახავს. ასე გახლიჩა ოკუპაციამ ჩვენი ოჯახი. ბებოს და პაპას განსაკუთრებით უჭირთ სახლის დატოვება და ვცხოვრობთ ასე, ერთმანეთის მონატრებაში. ძალიან რთულია ასეთი ყოფნა, იმის გარდა, რომ გვენატრება ერთმანეთი, მუდმივად გვაქვს დაუცველობის შეგრძნება. მაგალითად, სამედიცინო დახმარება რომ დასჭირდეთ, ვერ მიიღებენ; საკვების ყიდვა რომ დასჭირდეთ, ვერ წავლენ მაღაზიაში, რომელიც ძალიან შორსაა სახლიდან. მოკლედ, მიუხედავად ბევრი პრობლემისა, მათ ურჩევნიათ იქ, თავის სახლში, ნინაპრების მიწაზე იცხოვრონ.

ნინო ტოლიაშვილი, მე-12 კლასის მოსწავლე:

ომი ძალიან სწრაფად დაიწყო, გააზრებაც ვერაფერ მოასწარო რა ხდებოდა. მშობლები სოფელში დარჩნენ, ჩვენ სასწრაფოდ წამოგვიყვანეს. 5 წლის ვიყავი, ამიტომ კარგად არ მესმოდა სად მოვდიოდით ან რატომ მოვდიოდით. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა. რაც უფრო ვიზრდები, მით უფრო ძლიერდება ემოცია, საკუთარ საცხოვრებელს დაუბრუნდეთ და რაც დრო გადის, მით უფრო ვაცნობიერებ, რას ნიშნავს ოკუპაცია, რას ნიშნავს ომი... რას ნიშნავს დაკარგო შენი სახლი, რას ნიშნავს შენივე სამშობლოში ატარო დევნილის სტატუსი, ძალიან მძიმეა ეს სტატუსი... ოკუპაცია მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლაა როგორც დიდებზე, ისე პატარებზე, ეს არ არის მხოლოდ ტერიტორიის დაკარგვა.

თუმცა, მეორე მხრივ, როცა მეგობრები თავისუფალ დროს ერთად ვსეირნობთ ხოლმე ჩვენს დასახლებაში, სულ იმაზე ვლაპარაკობთ – ერთმანეთი რომ არ გვყოლოდა, როგორი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება. ხშირად ჩვენი საუბრის თემა ჩვენს მოგონებებსაც უკავშირდება, ვისხენებთ ჩვენს სახლებს, ეზოებს, იქაურ ამბებს, ძირითადად, ჩვენი მშობლების მოყოლილ ამბებს. ჩვენს თაობაშიც დიდი დოზით არის წარსული, რომელიც ოკუპაციას უკავშირდება.

სანდრა მარაბიშვილი, მე-10 კლასის მოსწავლე:

ჩემი ოჯახი, ოკუპაციამდე, ახალგორის რაიონის სოფელ მოსაბრუნში ცხოვრობდა. მშობლები გამუდმებით გვიყვებიან იქაურობის შესახებ, ფოტოებიც გვაქვს შემორჩენილი და თვალმისაცემია მოსაბრუნის ლამაზი ბუნება და გარემო, რომელიც წეროვანის დასახლებაში ნაკლებად გვაქვს. ჩემი მშობლებისთვის და ბაბო-პაპასთვის იქ დაბრუნება დღემდე ყველაზე დიდ სურვილად რჩება.

ჩემთვის რა არის ოკუპაცია? პირველ რიგში, ჩემი უფლებების შეზღუდვაა გადავადგილდე ჩემი ქვეყნის ტერიტორიაზე, როცა მიწა და სადაც მიწა. ეს ყველაზე მეტად არ მომწონს და საოცარი პროტესტის გრძნობა მიპყრობს, როცა მშვიდობიან მოსახლეობას იტაცებენ, ასამართლებენ, სჯიან, კლავენ... ეს ინვესტია ჩემში დაუძლეველ სიბრახეს ოკუპანტისადმი. აი, ასეთი მძაფრი ემოციაა ჩემთვის ოკუპაცია.

ბუნებრივია, რომ ჩვენ განსაკუთრებულად გვეხება ეს თემა. ამ დასახლებაში კი, სულ რომ გინდოდეს, თუნდაც, ერთი დღით გადავიწყება ამ ყველაფრის, ვერ შეძლებ, რადგან აქ თავმოყრილ ადამიანებს აერთიანებს ტკივილი, რომელიც დილით, თვალს რომ გაახელ, უკვე თვალსაჩინოა. აქ მშობლების და ბებია-ბაბუების თაობა სულ დაბრუნებაზე საუბრობს, ყველა მოგონებებით და მოლოდინით ცხოვრობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სახლში დაბრუნდებიან. ამის შემყურე ჩვენი თაობისთვის კი, ალბათ, ყველაზე მთავარი ამ მიზნამდე მისვლის გზების ძიება იქნება. აქედან გამომდინარე, ჩვენი მთავარი საფიქრალიც შინ დაბრუნებაა.

მარიამ ლაშაშვილი, მე-9 კლასის მოსწავლე:

ხშირად, ჩემი მშობლები, დილით რომ იღვიძებენ, იწყებენ სიზმრის მოყოლას: სიზმარში ახალგორში ვიყავი... ეს შეგრძნება არასდროს გტოვებს, გულში სიცარიელეა, ვერაფრით ვისებ დანაკლისს, რასაც ახალგორშია ჰქვია. მოდუნების საშუალებას არც ეს დასახლება გაძლევს – ყოველ დღით, თვალს გაახელ თუ არა, ხედავ ჩამწკრივებულ სახლებს, რომელსაც ერთმანეთისგან არაფერი განასხვავებს. შენი სახლის იდენტურია ყველა დანარჩენი, შენსავით ოკუპაციის მსხვერპლია ყველა, ვინც ამ სახლებში ცხოვრობს, შენი ოჯახით ყველა ოცნებობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეძლებს საკუთარ სახლში დაბრუნებას... არასოდეს გტოვებს შეგრძნება, რომ დევნილი ხარ საკუთარ სამშობლოში. და გადის წლები, ასე, იმის მოლოდინში, რომ ოდესმე დაბრუნდები.

თავიდან ჩვენს დასახლებაში ყველაფერი ისეთი ერთფეროვანი იყო, რომ მშობლები ბავშვებს მაღაზიაშიც კი არ გვიშვებდნენ იმის შიშით, რომ სახლს ველარ ვიპოვიდით. წლების მერე ცოტა შეიცვალა აქაურობის იერ-სახე, თვითონ მაცხოვრებლებმა შემატეს რაღაც სახლებს და ეზოებს, ზოგმა მიაშენა, ზოგმაც გადააკეთა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ბავშვებზე ნეგატიურ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს – დამერწმუნეთ, რთულია, როცა ყოველდღიური გარემო არ გაძლევს შესაძლებლობას, ცოტა ხნით მაინც, დაივიწყო ტკივილი, რომელიც წლებია ცხოვრობს ყველა შენ გარშემო. მერე, ბუნებრივია, მშობლებივე შენთვისაც შეუცვლელ სურვილად იქცევა იქ დაბრუნების სურვილი, რომელიც მართალია ბუნდოვნად გახსოვს, მაგრამ ყველაზე მეტად გიზიდავს და გიყვარს.

ზუსტად არ ვიცი მომავალში რა პროფესიას ავირჩევ, თუმცა, ერთი რამ ვიცი უდავოდ – ვიბრძობ ჩემი ახალგორის დასაბრუნებლად. ოკუპაცია არა მხოლოდ დაკარგული უფლებაა იცხოვრო შენს მიწაზე, არამედ ამ უფლების დაბრუნების დაუძლეველი ემოციური მდგომარეობაა.

ქეთი თათარაშვილი, მე-10 კლასის მოსწავლე:

ოკუპაცია ჩემთვის ყველაზე მძიმე თემაა, რომელიც ასოცირდება თავისუფლების შეზღუდვასთან, უსამართლო აკრძალვებთან, სახლ-კარის იძულებით დატოვებასთან, უფლებების შელახვასთან. რა თქმა უნდა, შესაძლებელია რომ იყოს,



ოკუპაციის 100 წელი

თავიდან ავირიდებდი ასეთ მძიმე ტრაგედიას და არასოდეს განვაცდებდი ათეულობით ათას ადამიანს ამ გაუსაძლის ტკივილს.

ჩემს სოფელს მოსაბრუნე ჰქვია და ყველაზე დიდი სურვილია, ოდესმე შევძლო ჩემი წინაპრების დატოვებულ სახლში ჩასვლა, მინდა ოკუპანტი არ ადგენდეს წესებს როდის, როგორ და სადა გადაადგილდეს საქართველოს მოქალაქე თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე. უმძიმესი თემა ჩვენთვის ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში გვიწოდებენ დევნილებს, წეროვანის დასახლებებით კი, სტატუსს მუდმივად აფორმებ შენს გონებაში – მუდმივად გახსოვს, რუსული აგრესიის, ოკუპაციის მსხვერპლი, დევნილი ხარ საკუთარ სამშობლოში.

ლემბტარ ჩოჩიალი, მე-10 კლასის მოსწავლე:

რა არის ოკუპაცია და როგორია მისი შედეგები, ეს კიდევ უფრო თვალჩინა და ხელშეხახები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გახდა. ოკუპაცია თითოეულის ოჯახში შემოვიდა, დავტოვეთ სახლ-კარი. ამ მოვლენებმა, შემდეგ, ადამიანებში გააჩინა ძალიან დიდი მუხტი – დავიბრუნოთ ის, რაც ძალით წაგვართვეს და ის, რაც ისტორიულად ჩვენ გვეკუთვნის, დავიბრუნოთ ჩვენი სახლ-კარი, ეზო, მიწა. თუმცა, ეს უნდა დავიბრუნოთ არა ძალით, როგორც ოკუპანტმა წაგვართვა, არამედ უნდა დავიბრუნოთ განათლებით. ძალიან მიხარია, რომ განათლების მიღებაში სკოლაში ხელს გვიწყობენ. ჩემი მომავალი პროფესია პროგრამირებას უკავშირდება, მომწონს კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით მუშაობა. სურვილი მაქვს, ისეთი რამ შევქმნა, რაც საქართველოს დაეხმარება იმაში, რომ მსოფლიომ კიდევ უფრო ახლოს

გაიციოს ჩვენი ქვეყანა და დაინახოს ჩვენი პრობლემები.

საუკუნის გადმოსახედიდანაც კი, ჩვენი მთავარი ამოცანა სწორედ ეს არის – ქვეყანა ისე განვავითაროთ, რომ ოკუპანტმა იგრძნოს ამ კუთხით ჩვენი უპირატესობა. დავუპირისპირდეთ ჩვენი ქვეყნის მტერს არა ძალით, არამედ ცოდნით, განათლებით და განვითარებით.

ჩემი სურვილია, შევქმნა თამაში, სადაც მთავარი როლი ექნება საქართველოს, უფრო ისტორიულ თემატიკაზე ვფიქრობ. რატომ თამაში? დღეს ბევრი ადამიანი ინტერესდება გეიმერული ინდუსტრიით, აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც არასდროს ნაიკითხავს წიგნს ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესახებ, ამ თამაშით გაიგებს საქართველოს ისტორიას და დაინტერესდება ჩვენი.

ლუკა პავლიაშვილი, მე-11 კლასის მოსწავლე:

პირველ რიგში, ყველა ქართველისთვის დიდი გულსტკივილია ოკუპირებული ტერიტორიები და, რასაკვირველია, ჩემს რეალობაშიც მძიმედ აისახა ეს მოვლენები. იძულებით დავტოვეთ სახლი, ჩვენი მიწა და გადმოსახლდით ახალგორიდან წეროვანის დასახლებაში, რომელიც ჩვენთვის, დევნილებისთვის აშენდა. წეროვანში გადმოსახლება იმან გადამატანინა, რომ შევიძინე ახალი მეგობრები, ჩემი სოფლის თანატოლებიც აქ დასახლდნენ, რამაც კიდევ უფრო მშობლიური და ახლობელი გახადა ეს ერთფეროვანი და უღიმღამო გარემო.

რაც შეეხება ოკუპაციას, სამწუხაროდ, ეს ერთფერადი ფაქტი არ ყოფილა. ქვეყანაში ლამის ყოველდღიურად გვახსენებს თავს მცოცავი ოკუპაცია, ამიტომ ეს არ გვაძლევს

არც მოდუნების და არც მშვიდად ყოფნის უფლებას.

რა უნდა გავაკეთოთ ან როგორ მოვიქცეთ? ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა ვაგრძობინოთ ოკუპანტს, რომ ჩვენ არ ვართ ხელნაშობი, ჩვენი ღირსების გათვლა ასე იოლად არ გამოუვათ, რომ არ შევეგუებოდნენ ტერიტორიების დაკარგვას, რომ არ დავთმოთბოთ მიწას, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის. რა თქმა უნდა, ასე ადვილი არ არის ამ თემასთან გამკლავება, მაგრამ ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის გამართლებას, სახელმწიფოს გაძლიერებაში. თუ ყველამ თავისი საქმე კეთილსინდისიერად აკეთა, ბუნებრივია, სახელმწიფო გაძლიერდება და ოკუპაციის თემაც უფრო დაძლიერდება, საერთაშორისო ასპარეზზეც უფრო ღირსეულად წარმოვიჩინებთ.

ჩემი ყველაზე დიდი ოცნება რა არის? ოცნება არ მაქვს, მე ამას უფრო მიზანს ვეძახი – მინდა, კარგი განათლება მივიღო, ჩემი პროფესიით დავსაქმდე და, რაც მთავარია, მინდა, ჩემი წინაპრის საფლავზე მისვლა შევძლო!

ქანო ჯონაძე, მე-11 კლასის მოსწავლე:

ოკუპაცია თავისუფლების აღკვეთაა, ჩვენი უფლებების შეზღუდვაა, ჩვენი მიწის მითვისებაა, ამიტომ ოკუპაცია კიდევ უფრო გიმძაფრებს იმისადმი ლტოლვას და სიყვარულს, რასაც გართმევენ, რასაც გიზღუდავენ. თუმცა, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, სამშობლოს სიყვარულთან ერთად, ზრუნავდეთ მის განვითარებაზე და იღვწოდეთ მისი თავისუფლებისთვის.


ჩემი ყველაზე დიდი სურვილია, მშვიდობა იყოს მთელ სამყაროში და მინდა, დავიბრუნოთ ოკუპირებული მიწები.



www.akhaliqanatlaba.ge

როდესაც საზღვრით რუსეთი ომის გამოუყრდადნობდა თავს დაგვიხსნა და ჩვენი დამარცხების აჩრდილი გამოჩნდა... მიხმო ჩემმა მეგობარმა ივანემ და მიხმრა: მოდის ნოლშევიკური პროპაგანდით გაქვითილი საზღვრით რუსეთის რუსის ჯარი, ჩვენდამი უაღრესად სიძულვილით გამსჭვალული, მშვიერი და მწყურვალი. ისინი ჩვენ დავგარბვევენ, ვავცდარჯვავენ, დაიჭავენ ჩვენს ისტორიულ განძეულობას მოღალატე ორგანიზაცი-მხარაძეების მეთაურობით. საჭიროა მისი დროზე შეგროვება, აღრიცხვა და უყრბოთში ვაჭანა ნოე უორდანას მთავრობის მიერ მის ვადასარჩენად, საქართველოში ჩვენ ამ განძეულის ვადაძლოვას ვერ შევძლებთ... ეს აზრი ივანეს რომ არ მოსვლოდა, შეიძლებდა კი არა, დარწმუნებული ვარ, რუსის შრმა ჯარი მას, განსაკუთრებით საკლესიო ნივთებს მიითვისებდა და საღვარ სამიკიტნოში არაყზე და ღვინოზე ვადაჯვლიდა... ივანე ჯავახიშვილს უნდა ვუპაძლოდეთ ჩვენ ისტორიული საყუარ-განძეულობის ვადაჩენას.

ექვთიმე თაყაიშვილი



რუსის წერა

ჯიშერა რახვიაშვილი რადიო თავისუფლების ჟურნალისტი

პირველად იყო მათრახი და მერეც სულ იყო მათრახი და ხიშტი, თუმცა შიგადაშიგ თავლაკვერიც გამოერეოდა ხოლმე. კავკასიაში გამოგზავნილი მეფისნაცვლებიც ასეთივე პრინციპით შეიჩივდნენ ხოლმე. ერმოლოვებსა და პასკევიჩებში გამოურევდნენ ვორონცოვებსაც, რომლებიც გულში იკრავდნენ ჩვენს თავადაზნაურობას, ინათესავებდნენ, ჩინებს აძლევდნენ, მამულებს უმშვენებდნენ, ოპერის თეატრს უმენებდნენ, წყალსადენი გაჰყავდათ, ქუჩებს უკირწყლავდნენ... და სანაცვლოდ იღებდნენ ყველაფერს, რასაც მოისურვებდნენ. აკი, პირველი ძველიც მიხილ ვორონცოვს დაუდგეს მაღლიერმა ქართველებმა, მაღალ კვარცხლბეკზე შეაყენეს, ბრინჯაოსგან ჩამოასხეს. ოქროსგანაც ჩამოასხამდნენ, რომ ჰქონოდათ, უთუოდ გაიმეტებდნენ, მაგრამ სულ აღმასისგანაც რომ გამოეკვეთათ, მაინც ვერ აჯობებდა იმ სხვა ძველს, რომელზეც ხუთი დღით ნამეფისნაცვალმა გრიგოლ ორბელიანმა თქვა:

„არის კიდევ სხვა ძველი ვარანცოვისა... ეს ძველი დიდი ხანია, რაც აღმართულია ჩვენს გულში“.

ეს ძველი დღესაც დგას ბევრი ქართველის გულში. ამ ძველს ვერაფერი დააკლო ვერც 1921 წლის თებერვალმა, ვერც 1924 წლის აგვისტომ, ვერც 1930-იანი წლების ნიელმა ტერორმა, ვერც 1989 წლის 9 აპრილმა, ვერც 2008 წლის აგვისტომ... მაღლიერი ქართველები არ უკარგავენ „უგანათლებულესსა კნიაზსა მს. ვორონცოვსა“ უშურველად გადმოყრილ ტკბილსა და მსუყე „პოიანიკებს“. არ იყო იმპერიალისტი, ამბობენ და, თუ ვინმე იმსახურებს თბილისში ძველის დადგმას, პირველ რიგში ვორონცოვით, ასეთებსაც გაიგონებთ.

რა შეიძლება ამოძრავებდეს დამპყრობელს, როცა არნახულ გულმონყალებას იჩენს „ტუზემცების“ მიმართ?

დავესესხოთ ჯემალ ქარჩხაძეს, რომელმაც თავისი მოთხრობის („რაჰათ-ლუხუმი“) პერსონაჟის პირით თქვა: „ოქრო ნაილეთ გურჯისტანში, ბევრი ოქრო ნაილეთ, გურჯი ოქროს დაზარბდება და მონად ვაგებდება, ხოლო რაკი მონად ვაგებდება, არც ოქროს დაკარგავ, რადგან შენი მონის ოქრო იგივე შენი ოქროა“.

თუ ვორონცოვი თბილისზე ზრუნავდა, ზრუნავდა როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილზე; თუ ვორონცოვი ქართველი თავად-აზნაურების განათლებაზე ზრუნავდა, ზრუნავდა როგორც რუსეთის იმპერიის მომავალ ჯარისკაცებზე. ნამდვილ პატრიოტებს კი, ისეთებს, როგორიც ალექსანდრე ორბელიანი იყო, ღვარძლიანად ებრძოდა. აქ შეგვიძლია ვავისხენოთ ვეფხისტყაოსნის ერთი ძველი ხელნაწერის ისტორია, რომელზეც გიორგი ლეონიძე წერდა 1935 წელს.

„ხელნაწერი 1853 წელს გაუტანიათ საქართველოდან. მწერალს ალექსანდრე ორბელიანს მაშინდელ მთავარმართებელ მ.ს. ვორონცოვისათვის ძღვნად მიურთმევია. ასე გვიამბობს მის დროისათვის გამოცვლილი ყდის რუსული წარწერა, პლატონ ოსელიანის ხელით შესრულებული. Книга эта „Барсова кожа“ принесена в дар князю М.С. Воронцову князем Александром Орбелиановым. 1 сентября 1853 года. Тифлис. ეტყობა ალექსანდრე ორბელიანს ოსელიანის ხელით და, შეიძლება მისივე რჩევითაც, მიუძღვნია იგი ვორონცოვისათვის (პ. ოსელიანი ვორონცოვის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ითვლებოდა). ა. ორბელიანი, პატრიოტი, 1832 წლის შეთქმულების ლიდერი, რუსეთის ხელისუფლების სასტიკი მოძულე მწვავე განწყობილებაში იყო ვორონცოვთან, რომელიც ძველ შეთქმულს საიდუმლო მიმონწერას აბრალებდა შამილთან. შეშინებული ორბელიანი ყოველნაირად ცდილობდა ვორონცოვის რისხვის დაწყნარებას და ვფიქრობთ, ჩვენი

ხელნაწერი – სწორედ ამ ხანებში გასაჩუქრებული – ა. ორბელიანმა გულისმოსაგებად მიუძღვნა მთავარმართებელს“, – დაასკვნის გიორგი ლეონიძე.

ზოგადადაც ცნობილია, რომ ბევრი წარჩინებული ქართველი ზრუნავდა მეფისნაცვლის გულის მოგებას. ვინ იარაღით ასაჩუქრებდა, ვინ – ძვირფასი ნივთებით და ვინ კიდევ – ძველი ქართული ხელნაწერებით. იმავე პლატონ ოსელიანის ცნობით, ვორონცოვისათვის „უსაჩუქრებიათ [თვით] ერეკლე მეორის შესანიშნავი, მეტად მიმსგავსებული პორტრეტი, პერგამენტზე ნახატი“.

დამპყრობლის გულის მოგებას კიდევ შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება, მაგრამ – მაღლიერებს?

შენს ქვეყანაში სხვა ქვეყნის ჯარისკაცი თეატრის სცენაზე გამოტანილი იმ თოფივითაა, რომელიც, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაისერის. დამპყრობელი იარაღის გარეშეც სასიკვდილო საფრთხის მატარებელია.

ვასილ ბარნოვი მოგონებების წიგნში „სამწუხრო ღიმი“ იხსენებს ერთ ამბავს, რომელიც ასე აქვს დასათარებელი: „ბებერიც რუსის წერა ყოფილა!“

ბარნოვის მშობლიურ სოფელ კოდაში უცხოვრია მათუსალის ტოლ ბებერს. „ცხოვრებაში ერთხელ-ორჯერ ჩახედა მისთვის სულთამსუთავს ცეცხლიანი თვალებით, მაგრამ გასცდენიყო, არ წაეყვანა, მემრე სულ დაჰვიწყებოდა. ცხოვრობდა უტიკვარი, თანდათან ხმებოდა, ილეოდა. კიდევ დაჰვიწყებოდათ მისი წლოვანებაო“.

ამ ბებერს მიწური ერდო ჰქონია. ფრთებჩამოშვებული, საიდნაც გინდოდა იქიდან ახვიდოდი ბანზეო. წინა მხრიდან მაღალი იყო და ამ კედლის ძირში უყვარდა თურმე ჩამოჯდომა და ძილი.

„ერთხელ რუსის ჯარი იდგა სოფელში, – იხსენებს მწერალი. – ერთი რუსი ასცდენოდა ჯარს და დახეტიალობდა სოფელში. ასულიყო ერდოზე, დადიოდა, ხან ერთ ბანში ჩაიხედა და, ხან მეორეში. მიაღწია დერფანს, გადადგა ნაბიჯი მოუფიქრებლად და ჩავარდა, ზედ იმ ბებერს დაეცა და გასრისა სიფრიფანა დედაკაცი. რომ დახედეს, თქვეს, ეს ბებერიც რუსის წერა ყოფილაო. რუსი უფნებლად გადარჩა. ადგა და იძახდა: ეშმაკმა ჭამოს ამ ბებრის თავი, აქ რა უნდოდაო!“

გავიხსენებო? თავის სახლში რა უნდოდაო!

სხვების გამოცდილება იქით იყოს, ჩვენი საკუთარიც გვეუბნება, რომ, რაც უნდა ტკბილი თავლაკვერი გამოგვიცხოვოს, რაც უნდა „რბილად“ და თავაზიანად შემოვიტოვა-ზოს და ჩვენც რაც უნდა მაღიანად გავულოკოთ თითები, მფარველ ანგელოზად მიღებული მტერი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაგვსერეს და მერე, ჩვენსავე ქვეყანაში, გულბრყვილოდ იკითხავს, აქ რა უნდოდაო?



25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღეა

მაია (მანანა) მირცხულავა
თბილისის №82 საჯარო სკოლის
ისტორიის უფროსი მასწავლებელი

...25 თებერვალი გათენდება ხვალ, თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ... და ასე მასწავლიდნენ სკოლაში მე, არანაირი დაფიქრება, მსჯელობა, ანალიზი და ვზეიმობდით თურმე ასეთ სამწუხარო ამბავს.

გავიდა წლები, გაიზარდნენ თაობები და ქართველთა დამოკიდებულება ამ დღისადმი და საერთოდაც, ამ მოვლენისადმი სრულიად შეიცვალა და ...გავიხსენეთ, რომ 1921 წლის 25 თებერვალს „...თბილისის ეხურა თალხი ...დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...“, თუმცა ისტორია ფაქტებით გვამცნობს, რომ არც ხალხი დუმდა და არც ეკლესიის მეთაური, მაგრამ ბოლშევიზმმა მაშინ იმძლავრა, იძალადა და ახალფეხადგმული ქართული სახელმწიფოს ჯერ ანექსია მოახდინა და ოკუპაციით დაასრულა.

ასე ვასწავლი ახლა მე; მოსწავლეები მოიძიებენ დამატებით მასალას იმ ეპოქაზე, მსჯელობენ მოცემული დროის მსოფლიო მოვლენებზე, შემდეგ რუსეთზე, როგორც მეზობელ აგრესიულ სახელმწიფოზე, გამოთქვამენ ვარაუდებს, ზოგჯერ ურთიერთსაინააღმდეგოსაც კი. შემდეგში, დისკუსიის დროს, ისეც ხდება, რომ აზრს იცვლიან, ერთიანდებიან და ანალიზის შედეგად გავდივართ სახელმწიფო სტანდარტზე (ისტ. IX.5, ისტ. XII.4).

წარსულის, ამ ავადსახსენებელი 1921 წლის 25 თებერვლის, შემდგომი 70 წლის გახსენება არ გვსიამოვნებს, მაგრამ, როგორც ციკლონი გვასწავლის – ისტორია ცხოვრების მასწავლებელია და სწორედ ამიტომაც განვილი, თავს გადახდელი შეცდომები უნდა გახდეს მომავალში ასეთივე უსიამოვნებების თავიდან აცილების ხერხის მიგნების მასწავლებელი.

რახან ცხოვრებამ ისტორიის მასწავლებლობის არც თუ ისე მსუბუქი ტვირთი აპკიდა და თან 1992 წლის იანვრიდან, ვალდებულებას ვგრძნობ ჩემი ქვეყნის მომავალ თაობას გადაეცე; 1991წელს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ისტორიის სახელმძღვანელოების ტექსტები თანდათან იხვეწება და ახლდება მიდგომები მოცემული საკითხის მიმართ (IX-XII კლ.). ამჟამად არსებულ სახელმძღვანელოებშიც მშრალად გადმოცემული ტექსტია (თუმცა უკეთესი, ვიდრე წინა), რომელსაც ახლავს მცირე დოკუმენტური და ფოტო მასალა. თუმცა, მომავალ წელს ახალ სახელმძღვანელოებს ველოდებით, უნდა ვასწავლოთ საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის ჭრილში, ვიმედოვნებ, გათვალისწინებული იქნება კვლევების დროს მასწავლებლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები თუ რჩევები და კონკურსში გაიმარჯვებს უფრო საინტერესო სამუშაო მასალებით, დავალებებით, საჭირო რუკებით, ვაჯერებელი სახელმძღვანელო. თუმცა სახელმძღვანელო არაა ერთადერთი რესურსი მოსწავლისთვის ცოდნის მისაღებად, ამისათვის არსებობს სხვადასხვა გზა, მაგალითად, არაფორმალური განათლება. ჩემს მოსწავლეებთან ერთად წლებია ვესწრები იმსა-სთან (საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია, პრეზიდენტი – ნანა ციხისთავი) არსებული „ნორჩ ისტორიკოსთა“ სკოლის მიერ (სულისჩამდგმელი – მანანა შეყილაძე) ჩატარებულ უამრავ ღონისძიებას. ჩემს კოლეგებთან და მათ მოსწავლეებთან ერთად ვეცნობთ ოკუპაციის მუზეუმის ექსპონატებს, ვესწრებით ეროვნული არქივის, ხელნაწერთა ინსტიტუტის, ქართული ემიგრაციის, ქართულ-ევრაული მუზეუმის თანამშრომლების მიერ სპეციალურად ჩვენი მოსწავლეებისათვის გამართულ ლექციებს; ოკუპაციის თემაზე ჩატარებულ ღონისძიებებთან გამოვარჩევდი ეროვნული მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში (ეროვნული მუზეუმი პარტნიორი ორგანიზაცია) და ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში ჩატარებულ ღონისძიებებს. ლექციებს ატარებენ ჩვენი სკოლის მეგობრე-



ბი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: ჯაბა სამუშია, ოთარ ჯანელიძე, რუსუდან დაუშვილი, რუსუდან კობახიძე, ნოდარ ბახტაძე სხვები.

წელს, პანდემიიდან გამომდინარე, ეს ცოცხალი ურთიერთობა შეიცვალა და მოსწავლეები ესწრებიან ონლაინ ლექციებს, რომელთა გააზრება შემდგომში მოხდება ონლაინ ან დასწრებით გაკვეთილებზე.

მოსწავლეები სწორედ არაფორმალურ გარემოში, ძალდაუტანებლად, ხშირად ადგილის უქონლობის გამო, კიბის საფეხურებზე ჩამოშვდნის, იღებენ განათლებას და რაც მთავარია, უჩნდებათ კითხვები, რომელსაც სვამენ და პასუხებსაც იძიებენ, იგებენ, სწავლობენ, თუ როგორ შეხედონ მოვლენებს სხვადასხვა მხრიდან, რომ სწორად შეაფასონ, გააანალიზონ და შემდგომში, როდესაც ქვეყანას დასჭირდება, ჩადგინენ ქვეყნის სამსახურში, არ გაუჭირდეთ გამოსავლის პოვნა, შეძლონ სწორი გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც, თითქოსდა, გამოუვალა მდგომარეობიდან.

სწორედ ისტორიის, წარსულის ცოდნა-გააზრება იძლევა ამის საშუალებას.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ნებისმიერი ისტორიული მოვლენის წინაპირობის კარგად შესწავლა-გაანალიზება აძლევთ მოსწავლეებს შემდგომში ამ მოვლენების გარდაუვალობის თუ თავიდან აცილების გაგების შესაძლებლობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სენსიტიური საკითხების სწავლება-გაანალიზება, რომელიც უკავშირდება ეროვნულობას, იდენტურობას და რახან 1921 წლის 25 თებერვალი სწორედ ასეთია, წლების განმავლობაში, IX-X-XII კლასებში, როგორც ისტორიის ყველა მასწავლებელი, მეც, ამ ისტორიული ფაქტის უკეთ გასააზრებლად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხვა წევრებთან ერთად, ვვგეგმავ ოკუპაციისადმი მიძღვნილ კვირეულს, განანილებული გვაქვს აქტივობები, თუმცა წელს, პანდემიის გამო, ნაწილობრივ შეზღუდვები ვართ. მაგალითად, წელს ვერ დახვდებიან მოსწავლეები თანასკოლელებს სამკერდე ნიშნებით, რომელსაც სპეციალურად ამ დღისთვის, თემატიკის შესაფერისად, მოსწავლეები სახლში ამზადებდნენ, კედლის გახეობებს ვერ გამოფენენ და ყოველწლიური მოსწავლეთა კონფერენციაც განსხვავებულად, ონლაინ ჩატარდება. მიხარია, რომ ჩემმა მოსწავლეებმა სკოლაში დასწრებითი სწავლის განახლებისთანავე მკითხეს, თუ როგორ ჩავატარებთ წელს ოკუპაციის კვირეულს, ორმა მეთორმეტეკლასელმა – ოთარ მანჯგალაძემ და მარიამ ხუჭუამ – გამო-

მიგზავნა გრაფიკულ დიზაინში ახლად დამზადებული ნამუშევრები, საინტერესო ხედვით. მარიამ ხუჭუა სხვა ნამუშევრითაც მონაწილეობს კონკურსში ამავე თემატიკაზე და პასუხს ელოდება 25 თებერვალს; მეთერთმეტეკლასელი სალომე ლომია, რომელიც მომავალი მხატვარია, 1921 წლის ოკუპაციის თემაზე თავისი ხელით შექმნილ ანიმაციებს მიგზავნის. რადგან მოსწავლეები ინიციატივას იჩენენ, გამოდის, გასულ წლებში რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის თემა კარგად გააანალიზეს, ამაზე მათი ნაშრომების შინაარსობრივი მხარეც მეტყველებს.

გამოცდილება მიჩვენებს, რომ სწავლებისას საჭიროა მრავალმხრივი მიდგომა, მოსწავლე თანდათანობით, მსოფლიოში ზოგადად თუ რუსეთში მიმდინარე პროცესების ანალიზით უნდა მივიყვანოთ 1921 წლის 25 თებერვლის ანექსია-ოკუპაციის, ამ ისტორიული ფაქტის სწორად გაგებამდე. ზოგჯერ მოსწავლეს უჩნდება კითხვა, სად იყო ევროპა ამ უსამართლობის უამს, ან უფრო ადრე – რატომ არ მივიღეს ერთა ლიგაში, ან საქართველოს ყველა მოქალაქე რატომ არ დადგა ერთად. ყველა ამ და კიდევ სხვა კითხვას პასუხი აქვს – ეს მოხდა, წარსულია და დოკუმენტური წყაროებიდან გამომდინარე უნდა შევხედოთ რეალობას, აგრეთვე, უნდა ავიცილოთ მოგონილი, სასურველი ამბების სინამდვილედ გასაღება, სწორად დავსვათ კითხვები, შევხედოთ ყველა ფაქტს, რომელიც წინ უძღოდა, გავაზრებინოთ საერთაშორისო ვითარება, ყველა ამ ასპექტის გადასახედიდან დავანახოთ მოსწავლეებს შექმნილი რეალობა, აგრეთვე დავხმაროთ გაიზარონ, რომ ქვეყნის მოქალაქეებში არის და იქნება ქვეყნის მოწყობის განსხვავებული აზრი, ისტორიული წყაროების გაცნობისას ნახონ, რა ფაქტები მიეცა დავიწყებას და რატომ. ამ ყოველივეს გააზრებით მიიღონ ისტორიული მოვლენა როგორც ფაქტი, როგორც გამოცდილება იმიტომ, რომ შემდგომში, იმავე პროცესების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა როგორც ეროვნულ საკითხებში კონსოლიდაცია ქვეყნის შიგნით, აგრეთვე მეტი მუშაობა ქვეყნის გარეთ.

ახალგაზრდები უნდა მივიდნენ დასკვნამდე, რომ მომავალი არის განათლებაში, მხოლოდ განათლებით მიიღწევა ეკონომიკური წარმატების, რაც ერთიანობის ალდგენისთვისაც მეტად მიზიდველია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისთვის. მსოფლიო ამჟამად აღარაა მხოლოდ მაყურებლის როლი და სურს, დახმარება გაგვიწიოს შინაურ საქემეშიც, ამისათვის ჩვენ მხოლოდ ერთი რამ – სახელმწიფოებრივი ხედვა გვჭირდება და კიდევ იმის გაგება, რომ ჩვენი მომავალი განათლებული, შეუპოვარი ახალგაზრდების ხელშია!

ჩემი დამარცხებული გენერალი-გიორგი მანიაშვილი

ქ. თბილისის #82-ე საჯარო სკოლის 12 კლასის მოსწავლე: ოთარ მანჯგალაძე დამრიგებელი: მაია მირცხულავა

6 13 თებერვალი

ქართველებმა მოიპოვეს საბრძოლო წარმატება.

ამე დღეს თქვენ იარაღისკენ მოგინოდებთ.

23 თებერვალი

ივანე ჯავახიშვილი

XI კლასი

სალომე ლომია პედ-მაია მირცხულავა

It continues...

№82 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე მარიამ ხუჭუა დამრიგებელი: მაია მირცხულავა

მარშან მოხდა ამერიკისა და სომხეთის გასაბჭოება.

XI კლასი

12 თებერვალი

წითლები შემოიჭრნენ!

სალომე ლომია პედ: მაია მირცხულავა

4

მარო მაყაშვილის დღიურების კვლადკვალ

ადამიანის ყველაზე დიდი მონაპოვარი თავისუფლებაა და ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლა მისი უპირველესი ვალაა. ასე რომ, ოკუპაციის თემა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, გამორჩეული საკითხია ისტორიის სწავლებისას. ამ საკითხთან შეხება, რა თქმა უნდა, აქვთ ჩვენს მოსწავლეებს სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მთავარი წყარო ხომ სახელმძღვანელო უნდა იყოს, მეტნაკლებად სრული, რეალისტური, დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით შედგენილი. ჩემი შეფასებით ისტორიის სახელმძღვანელო, რომლითაც დღეს ვასწავლით, ძალიან შორსაა იმ კრიტერიუმებისგან, რასაც თანამედროვე მოთხოვნები ითვალისწინებს. ეს არის ძველი, საბჭოური მენტალიტეტით გაჯერებული ნიგნი, რომელიც ანალიზის, სწორი შეფასების, უკუკავშირის შესაძლებლობას ვერ აძლევს მოსწავლეს. ათიოდე დღის წინ სწორედ ამაზე ვისაუბრეთ მე და ირაკლი ხვადაგიანმა, საბჭოთა პერიოდის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა. ისიც სხვა ტიპის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის მომხრეა, სადაც ოკუპაციის თემა ახლებურად და ამომწურავად გაშუქდება.

მანამდე ჩვენ, პედაგოგებმა უნდა შევავსოთ

ეს დანაკლისი. ამისთვის ბევრი მუშაობა მიწვეს, მაგრამ ბედნიერი ვარ, არა მარტო როგორც მასწავლებელი, როგორც რიგითი მოქალაქე, როცა ახალგაზრდების მხრიდან ასეთ ინტერესს ვგრძნობ. ეს მაძლევს სტიმულს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდო მათ, რათა არც ერთი შკითხვა არ დარჩეს სწორი პასუხის გარეშე. ჩვენმა მოსწავლეებმა, მათმა მშობლებმა საკუთარ თავზე გამოსცადეს ოკუპაციის ხვედრი და კარგად იციან, რომ ის, რაც 1921 წლის 25 თებერვალს მოხდა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით გაგრძელდა და დღემდე მიმდინარე მცოცავი ოკუპაცია იმის დასტურია, რომ არც დასრულებულა ეს პროცესი. ყველაფერი ეს ხომ მათ თვალწინ ხდება.

ჩვენ ყოველწლიურად, სხვადასხვა სახით, აღვნიშნავთ ამ თარიღს. ნელს სკოლაში მიმდინარეობს კვირული „მარო მაყაშვილის დღიურის კვლადკვალ“, რომელშიც მე-12 კლასის ჩათვლით თითქმის ყველა მოსწავლეა ჩართული. ბევრი დოკუმენტური მასალა მოვიძიეთ, გამოვფინეთ კიდეც. მინდა, ჩემმა მოსწავლეებმა კარგად იგრძნონ ახალგაზრდა ქართველი ქალის სამშობლოსადმი დამოკიდებულება, თავისუფლებისკენ სწრაფვის დიდი სურვილი,

მისთვის თავგანწირვა. გარდა ძველი ჟურნალ-გაზეთებისა, მისივე ლექსებისა და დღიურებისა, ძალიან დაგვეხმარა დოკუმენტური ფილმები, რომელიც უხვდაა ამ პერიოდის შესახებ. ალბათ ბევრმა არც იცის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში, სადაც აფხაზეთის №10 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, არის ასეთი ადგილი, სარაქონი, სადაც 1924 წლის აფხაზეთის მონაწილე ათობით ჩხორიყუელი დახვრიტეს, ბევრი დააპატიმრეს და გადაასახლეს. მუზეუმის თანამშრომლები მოსწავლეებს ამ მასალებს, მათ სახელებსა და გვარებს აცნობენ. ჩვენ სარაქონში მივავებთ პატივს მათ ხსოვნას; „არა – ოკუპაციას“ – ამ დღეებით შარშანაც ჩავატარეთ ღონისძიება, არაფორმალური განათლების ფარგლებში, ჩვენი სკოლის გვერდით მდებარე „ვეროპის პარკში“, მოენყო მოსწავლეთა ნახატების გამოფენაც ოკუპაციის თემაზე, კვირულს 25 თებერვალს დავასრულეთ. პანდემიის რეგულაციების გათვალისწინებით, დამსწრეთა რაოდენობა შეზღუდული იქნება, მაგრამ მოსწავლეებმა ბევრი იმუშავეს იმისათვის, რომ, რაც შეიძლება სრულყოფილად გადმოსცენ საბჭოთა ოკუპაციის დამანგრეველი შედეგები 1921 წლის 25 თებერვლიდან დღემდე.



მელიორ შვილია
აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის
სამოქალაქო განათლების პედაგოგი,
„ათეულთა კლუბის“ წევრი



www.akhaliqanleba.ge

❖ რა იქნა ძველი ჩვენი განათლება, სწავლა და კულტურა? მანდილი გადაფარა ჯონათ ყველაფერს ოხროდარჩენილმა რუსმა. ოჰ, როგორ მძულან, მეტადრე ეხლათ ამ ომის დროს და მერე... კვითხულობ ყაზბეგის ნიგნს, სადაც რუსეთის მთავრობის მოქმედებაზე ეგ ერთი ერთი მგონი, ესეთი უღმერთო, უზნეური, გაუნათლებელი და ღმერთისგან დაწყვეტილი. ღმერთო, მოგვიპართე ხელი.

❖ საყვარელო მამა! მე ჭურჭერობით კარგად ვარ. სულ ერთი პოზიციისგან 112 ვერსზე ვართ, მეორისგან 5 თუ 7-ზე. მტერი ჭერ შორს არის, ძალიან სუხეშენ ჩვენები. ძალიან აღფრთოვანებული არიან. წოჭა თხილი და თუ შესაძლებელია, რამე ტკბილეთუი გამოგზავნეთ... თავს გაფრთხილდით. გკორით გვერს. ისე არა რვა. მოკითხვა ყველა ჩვენებს. ნუ გეძინიანთ. გავი-მარჯვებთ სახელოვნად.



მარო მაყაშვილი

ოკუპაციის მუზეუმი საბანანათლებლო დანიშნულებით

მასწავლებლის საერთაშორისო ჯილდოს აპლიკაციის შევსება დაიწყო სიტყვებით – მე ვარ ქართველი, იმ ქვეყნიდან, რომლის 20% ოკუპირებულია, რაც აფერხებს თავისუფლებას, განვითარებას, სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობას. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ოკუპაცია ნებისმიერი ქართველისთვის უნდა იყოს ყველა სხვა პრობლემის წინ მდგომი თემა, მასზე საუბარი, შედეგების რეალურად აღქმა და გახმოვანება გამუდმებით უნდა ხდებოდეს, რადგან არ მინავლდეს მისი დამანგრეველი მნიშვნელობა...

ამიტომაც შევქმენით მე და ჩემმა მოსწავლეებმა ოკუპაციის მუზეუმი ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დერეფანსა და ერთ ოთახში. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩემს მოსწავლეებთან ერთ-ერთი მორიგი საუბრისას მივხვდი, მათ ბევრი არაფერი იცოდნენ ოკუპაციის შესახებ, ამიტომაც შევთავაზე ეს თემა, მაშინ (2018) მე-11 კლასში იყვნენ. შევთანხმდით, დაეყავით ჯგუფებად და შევუდექით მუშაობას. ძალიან შრომატევადი აღმოჩნდა მასალების მოძიება – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაგალითზე გვინდოდა გვეჩვენებინა, რაში გამოიხატა ოკუპაცია და რამდენი

ადამიანის სიცოცხლე შეინირა ამ დაუსრულებელმა პროცესმა, 1921 წლიდან დღემდე. ჩვენი პარტნიორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართლოსი“, რომლის მხარდაჭერითაც, პროექტი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წარვადგინეთ და დაფინანსებაც მალევე მივიღეთ. თავდაპირველად სკოლაში ვაპირებდით მუზეუმის გაკეთებას, მაგრამ დირექციამ რომ უარი გვითხრა, მერე მივაკითხეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სადაც ძალიან ცუდი მდგომარეობა დავხვდეთ. რაკი დაფინანსება უკვე გვქონდა, დერეფანი და ერთი ოთახი დავასუფთავეთ. გვინდოდა, შემოსვლისთანავე გასწავლეთ ადამიანს ოკუპაციის მიმე შეგრძნება. ამიტომ, დერეფნის ერთი მხარე როგორც იყო, ისე დავტოვეთ. მთელი ფართი 1921 წლის ოკუპაციის ამსახველ მასალებს დაეთმო. რეპრესირებულითა ოჯახებიდან მოპოვებული სურათები ფანჯრის მიწებს გარედან მივაკარით. ამით ის ეპიზოდი გავაცოცხლეთ, როცა დაპატიმრებულები თურმე ფანჯრებიდან გადმოჰყავდათ, რომ მეზობლებს არ დაენახათ და ხელი არ შეეშალათ. ბავშვებმა თითოეული მათგანის ისტორიები მოიპოვეს და საჯარო გახადეს. ფოტოებითა თუ ძველი ჟურნალ-გაზეთ-

ბიდან ამონარიდებით სისხლიანი 25 თებერვლის 100-წლიანი ისტორია გადმოვეცით.

საქართველოს უახლესი ოკუპაციის ისტორია ცალკე ოთახშია გადმოცემული. აქაც, ძირითადად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა ისტორიებია შეკრებილი, რომელთა სიცოცხლე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა შეინირა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ჩვენ ფოთიდან ჩამოვიტანეთ იქ ჩამოვარდნილი ჭურვის ნამსხვრევები, ჭალიც მავთულხლართების ფორმით დაამზადეს ბავშვებმა, სულ დაკანრული ჰქონდათ ხელები. სხვათა შორის, შინდისთან ბრძოლაში სამი ლანჩხუთელიც მონაწილეობდა. მოსწავლეებმა მათი ოჯახის წევრების მონათხრობით და ფოტომასალით გავაცოცხლეს არა მარტო შინდისის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოში დაღუპული ადამიანების ისტორიებიც. მასხოს, როგორი სევდიანები ბრუნდებოდნენ შეხვედრებიდან...

ოკუპაცია გრძელდება – ასეთი წარწერა აქვს ჩვენს ბოლო ბანერს. მოსწავლეებმა ფოტოპარატი ალბეჭდეს ყველა ის დანგრეული შენობა თუ წარწერა, რაც რუსებმა დატოვეს. ბუნებრივია, ოკუპაციის მუზეუმის შექმნა თვითმიზანი არ ყოფილა. მას გაცილებით მეტი

მნიშვნელობა მივანიჭეთ იმით, რომ საგანმანათლებლო სივრცედ გადავაქციეთ. აქ ყველა პირობაა იმისთვის, რომ ქართულის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა გაკვეთილები ჩაატარონ, საინტერესო პროექტები ან სხვა სახის აქტივობები განახორციელონ. სამუზეუმო სივრცეში გვაქვს 50 საჯარო-ძელი, კომპიუტერი, პროექტორი, არაჩვეულებრივი პირობებია გუნდური მუშაობისთვის. ამიტომაცაა, რომ ამ 3 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის 26-ივე სკოლაში 221 პროექტი განახორციელა ჩვენ მიერ მოწყობილ მუზეუმში, რაც ძალიან გვახარებს.

მუზეუმის სტუმრები მხოლოდ მოსწავლეები არ არიან – სხვადასხვა თარიღთან დაკავშირებით, ჩვენი საზოგადოების შუახანს მიტანებულ თანამოქალაქეებსაც ვინვეთ. მათაც ბევრი არაფერი იციან, რა მოხდა ჩვენს ქვეყანაში 1921 წლის 25 თებერვალს. ასე რომ, ყველა ასაკისა და ფენის ადამიანისთვის იყო საჭირო ამ ტრაგიკული ისტორიის ცოდნა. ისეც მომხდარა, რომ ჩემს მოსწავლეებს მასტერკლასი ჩაუტარებიათ უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვის – მათ შორის ჩინოვნიკებისთვისაც, რომლებიც ერთ-ერთ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. გავისვენებ ჩვენი მუზეუმის საპატიო სტუმრებსაც: ამერიკის ელჩი ელიზაბეტ რუთი, რომელმაც საინტერესო ლექცია წაიკითხა ოკუპაციისა და თავისუფლების თემაზე და ევროპული ქვეყნების ელჩები, რომელთაც მოინონეს ჩვენი მუზეუმი და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებასაც დაგვიპირდნენ.

კიდევ ერთი იდეა გვაქვს, რომლის განხორციელებაშიც პანდემია გვიშლის ხელს – გვინდა, ქალაქში მოძრაობდეს ტაქსი წარწერით – „არა ოკუპაციას“ ან „დეოკუპაციის დროა“. შემოსულ თანხას მუზეუმის განვითარებას მოვახმარებ.



ლადო აფხაჯავა
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბაბის
საჯარო სკოლის
სამოქალაქო განათლების პედაგოგი,
მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი



განწიკული სულის ქახილი ნუზარ შატაიძე – „მოგზაურობა აფრიკაში“

ნუზარ შატაიძის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ განხილვისას ბავშვები სათაურის მიხედვით ნაწარმოებში ბევრ რამეს გულისხმობენ, მაგრამ არა აფხაზეთს. მართლაც, უცნაურად დაასათაურა ავტორმა მოთხრობა, რომელიც ოჩამჩირეში მცხოვრები ერთი ოჯახის ტრაგედიის გადმოცემით იმ დიდ უბედურებას ასახავს, თავისი საშინელი შედეგებით, რომელსაც აფხაზეთის ომი ჰქვია.

მოთხრობის მთავარი გმირი ათი-თორმეტი წლის ბიჭია, რომელმაც დედასთან ერთად გადმოიარა ის უღელტეხილი, გურამ ოდიშარია გოლგოთის გზას რომ ადარებს. ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი იმის შესახებ თუ რამდენად შეესაბამება ასეთი შედარება სინამდვილეს. დაწერილობით განვიხილეთ უმძიმესი მონაკვეთი „ლტოლვილთა უღელტეხილი“, მისი რომანიდან „სოხუმში დაბრუნება“. ამ პატარა მოთხრობაში კი მწერალი მხოლოდ ერთგან ათქმევინებს ბიჭს: „მერე სხვებთან ერთად ფეხით მოვიდოდით. უღელტეხილზე გავვითოვდა. ხალხი გზადაგზა ეცემოდა და იხოცებოდა. ჩვენ გადავრჩით და ახლა აქა ვართ, ოღონდ ცალ-ცალკე, ის თავისთვის, მე – ჩემთვის.“ ცხადია, რომ ავტორის სხვა ჩანაფიქრი აქვს – მას, ჯოჯოხეთურ გზაზე მეტად, ამ ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანების ცხოვრება აინტერესებს უღელტეხილს აქეთ. ყინვას, შიმშილს, ტყვიას კი ვადაურჩენს ეს ბავშვები, ქალები, მოხუცები, კაცებიც, მაგრამ აქ, ამერში, როგორ გააგრძელეს ცხოვრება, ან საერთოდ თუ გააგრძელეს. აქ რამ შეინირა ეს ადამიანები; რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ აფხაზეთის ომი მხოლოდ იმ მსხვერპლით არ დამთავრებულა, რაც უშუალოდ აფხაზეთში გაიღო ქართველობამ, არამედ ომი „მშვიდობიან“ პერიოდშიც გაგრძელდა; ეს უკვე გადარჩენისათვის ბრძოლა გახლდათ. მწერალს სწორედ ამის გადმოცემა სურს – როგორ იბრძვიან უქმროდ, უმამოდ დარჩენილი ოჯახები არსებობისათვის და როგორი შედეგით მთავრდება მათი ბრძოლა?!

ბიჭის დედა ჯიხურში იწყებს გამყიდვლად მუშაობას, მაგრამ ზამთარი იქ ყოფნა იმდენად გაუსაძლისია, რომ ქალი სმას მიეჩვენება. მთელი დღის განმავლობაში, მიზერული თანხის სახაველად, მუშაობს და სამაგიეროდ, ჯიხურის მეპატრონე ქურდობას აბრალებს. შემდეგ, როცა გაირკვევა, რომ ქალი მართალია და მას არაფერი მოუპარავს, იგი ბოდიშსაც კი არ უხდის. ამ ზოგადად გადმოცემული ამბიდან მკითხველისათვის, ამ შემთხვევაში ბავშვებისათვის, არც თუ ადვილი წარმოსადგენია ფსიქოლოგიური მდგომარეობა ქალისა, რომელმაც ათი წლის განმავლობაში არაფერი იცის ავადმყოფი მუდღის შესახებ, რომელიც მტრის ხელში ჩაგდება და მცირეწლოვანი შვილისა და თავის რჩენისათვის უღმობელ გარემოსთან უნევეს ბრძოლა ყოველდღიურად; მაგრამ გაჭირვება და ალკოჰოლი იმარჯვებს და ხშირად, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, ამ ცხოვრების ჯავრს ბიჭზე იყრის – „თითქოს მე ვიყავი დამნაშავე იმაში, რომ ტყვარჩელში სახლი მივატოვეთ...“, რომ მეთათე წელია მამაჩემისა არაფერი ისმის...“, რომ გამყიდვლად მუშაობს ცივ ჯიხურში, რომლის პატრონი ერთი ავყია დედაკაცი სულ მუდამ ქურდობას აბრალებს...“, რომ არცის სმას სიცვიის გამო დაეჩვია...“, და ახლა იძულებულია ყოველდღე სვას, რადგან „ემშაკი არ ასვენებს“. სწორედ ემშაკისა, გაცვეთილი ნერვებისა თუ ამღვრული გონების წყალობით ბიჭს „სკამის ფეხით“ ისე სცემს, რომ წარბი გაუსკდება, მარჯვენა ხელის ნეკა თითი მოტყდება, და რომ არა ბიჭის ყვირილზე შემოცვენილი მეზობლები, შილი შეიძლებოდა მოეკლა. „მაგრამ შინიდან ამისათვის არ წამოვსულვარ, სულ

სხვა რამის გამო წამოვედი...“ – ამბობს მთავარი გმირი. რას უნდა გულისხმობდეს ბავშვი „სხვა რამეში?“ ავტორი თითქოს არ ამხელს, ჩემი აზრით, ძალიან თანაუგრძობს პატარას და იმიტომ, თუმცა მისიანობებლად იმას გვამცნობს, რომ ნუზარკა, ბიჭის მეგობარი, მალავდა იმას, რომ და ჰყავდა, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაიგებს ბიჭი სიმართლეს – „ვილაჯ გოგო მოვიდა, შენ ჩემი ძმის მეგობარი ყოფილხარო და თხუთმეტი ლარი მარუქა... მერე გოშკამ მითხრა, რომ იმ გოგოს ლუიზა ერქვა და ცირკთან იდგა“. აი, თურმე რატომ მალავდა ნუზარკა დის არსებობას და რატომ არ ამხელს ჩვენი გმირი „სხვა რამეს“. მანაც ხომ დამალა „მანანა დეიდასთან“ დედის არსებობა – „ერთხელ მანანა დეიდა მეკითხება, მართლა არავინა გვავსო? არა-მეთქი, ვინმე რომ მყავდეს, ქუჩაში რატომ ვიქნებოდი მეთქი“.

სამაგიეროდ, ამავე მოთხრობის მოტივზე გადაღებულ ფილმში „გაღმა ნაპირი“, რეჟისორი გიორგი ოვაშვილი სწორად აგნებს და გვაჩვენებს დედისაგან ბიჭის წამოსვლის ნამდვილ მიზეზს. სახლიდან წასვლისას ბიჭს ოცდაათი ლარი მიუაქვს და დედის „საქორწინო ბეჭედიც, რადგან ვიცოდი, რომ მამაჩემის ნაჩუქარი იყო“. ეს დეტალი ამტკიცებს თუ რამდენად სწორად მიაგნო რეჟისორმა ბიჭის სახლიდან წასვლის მოტივაციას და ჩემს ვარაუდს თუ რა მიზეზით წავიდა ბავშვი დედისგან სინამდვილეში. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ცხადია, ბიჭს დედა ძალიან უყვარს და პატივსაც სცემს. ეს ყველაზე მეტად ჩანს იმ ეპიზოდში, როცა „დედის თვალებს“ წაანყდება უცნობი ქალის თვალეში – „ვხედავ, დედაჩემისნაირი თვალები არა აქვს?! ერთი მწვანე და მეორე ცისფერი. არ ვიცი რა დამემართა, ყელში რაღაცა გამეჩხირა, ხელი ვამოვართვი და ზედ ვაკოცე“. ამაზე უფრო ოსტატურად შეუძლებელია იმ სიყვარულისა და პატივისცემის გადმოცემა, რომელიც გმირს, მიუხედავად ყველაფრისა, დედის მიმართ აქვს. ეს ქალი ის მანანა დეიდა გახლავთ, რეზოსთან და უმანგისთან ერთად, ქაშუეთის ეკლესიასთან „სუპია“ და პური რომ უმასპინძლებდნენ პატარა „მანანალებს“. აღნიშნული შემთხვევის შემდეგ კი ჩვენი გმირი ქაშუეთის ეკლესიას აღარ გაჰკარებია, „სუსს თავად იხარშავს“, „ოცკაპიკიანი სუპის პაკეტი“. ვიდრე ბიჭის დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მოგზაურობის შესახებ დავიწყებდით საუბარს, მინდა შევხებო დედის თვალებს, ორივე სიტყვით. როგორც ვნახეთ, ეს თვალეები ერთი ფერის არაა – ცალი ლურჯია, ცალი – მწვანე. ერთფეროვან ნაცრისფერს ისინი თბილისში იღებენ. რატომღაც მგონია, ქალის ცხოვრებისადმიხედვით იცვლიან ისინი ფერს. ვიდრე აფხაზეთის ფიჩქურსა და ზურმუხტში იყვნენ ჩაფლულნი, ვიდრე პატრონი ჰყავდათ, რომელიც არაფერს აკლებდათ, ისინიც ფიჩქურსა და ზურმუხტისფერად ელავდნენ, ხოლო, როდესაც მორიელივით („ქალაქი გავს მორიელს“, ტ. გრანელი) ნაცრისფერ ქალაქში უპატრონოდ აღმოჩნდება და უცვლელი, მისი თვალეებიც იცვლიან ფერს. წმინდა მამათა თქმით – „ადამიანის თვალი სულის სარკეა“. თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, როგორი ტკივილი ტრიალებდა ბიჭის დედის სულში.

მეტად საყურადღებოა, რომ ჩვენი გმირი, რომელიც ჯერ დედისგან გაიქცა და შემდეგ მანანა დეიდასგან, როგორ და რით ირჩენს თავს ქუჩაში. როგორც თავად ამბობს, ქუჩაში ცხოვრებასაც თავისი წესი და რიგი აქვს. სად დაიძინო, სად შეიძლება მოწყალება თხოვო, ვინ მოგცემს ორ კაპიკს და ვინ ვერ გაიმეტებს, ან ვილაცას შეიძლება შემოელახო კიდევ. იგი თავდაპირველად, ნუზარკასთან ერთად, „დიდის ტრასის ალე-

ში ძველ პაკრიშკას“ ანთებს და ბავშვები „ცეცხლთან ჩამომსხდარები“ იძინებენ. დილით მართალია გამურული თავპირით იღვიძებენ, მაგრამ ეს სასაცილოდაც არ ჰყოფნით; როცა ძალიან ყინავს, საბურავი ველარ შევლით; ამიტომ გამოძებნეს იაფი გასათბობი საშუალება – „ტუბიკი ლარი...“ ეგ ჩაუშვი ცელოფანის პარკში და დავაი, ისუნთქე!“ ვათბობის ამდაგვარი ხერხი ბავშვებს „კაიფში“ გადასდით, ასეთ დროს ისინი, მართალია, სიცვიეს ველარ გრძნობენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თბილად არიან; ამიტომ გაიყინება ნუზარკა, ან აცეტონის ბევრი დოზა მონამლავს, ან ორივე ერთად – „ამბობენ გაიყინაო, აცეტონით მოინამლა“. დამეთანხმებით, ასეთი საშინელი თავგადასავლების კითხვისას ძალიან ბევრი კითხვა უჩნდება ბავშვსაც და უფროსსაც. ასაკისა და მიუხედავად, პირველ რიგში, ყველა კითხულობს იმას, თუ სად არის სახელმწიფო, შემდეგ საზოგადოება?! პასუხი 90-იან წლებთან დაკავშირებით შეიძლება ამართლებდეს ან ერთ, ან მეორე რგოლს. კერძოდ, სახელმწიფო ჯერ შეუმდგარია, ცხრა აპრილის ტრაგედიამ გამოვლილი, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებგადახდელი; საზოგადოება დალილი, დაქნაცულ, განანამებში... აქ აუცილებლად გაახსენდება მკითხველს ლტოლვილთა უღელტეხილგამოვლილი მწერალი გურამ ოდიშარია პური რომ გაყინულ თბილისელ კაცს რომ წაანყდება, რომელსაც მთელი დღის განმავლობაში არ გამოუჩნდება პატრონი, გარდა იმისა, რომ ვილაც მოიფიქრებს და სახეზე გაზეთს გადააფარებს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუმცა ეს ვერაფერი ნუგეშია, ამ უსახლკაროდ და უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებისაირად, შესაძლოა ბევრ „სახლკარიანს“ უჭირდა მამის; მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, როცა მეტ-ნაკლებად ქვეყანა ფეხზე წამოდგა, ყოველ შემთხვევაში, გვაქვს ელექტროენერჯია და გაზი, აღარ არის პურის გაუთავებელი რიგები, იგივე პრობლემები, სახსუნებაროდ, დღესაც არის... დღესაც იყინებენ უსახლკარო ადამიანები ქუჩაში, დღესაც მრავლად არიან „მანანალები“ ბავშვები მეტროებში, გზაჯვარედინებსა თუ კაფეების წინ. საინტერესოა დღეს როგორ იმართლებს თავს ან სახელმწიფო ან საზოგადოება?!

მოთხრობის სიუჟეტი შემდგომში ამგვარად ვითარდება: ნუზარკას სიკვდილის შემდეგ ბიჭი ერთ მიტოვებულ სარდაფს იპოვის. გოშკა ასწავლის, რომ „კარდონის“ ყუთი თბილია და ჩვენი გმირიც ნებოთი „კაიფს“ თავს დაანებებს. ცნობიერ გონებაზე მოსულს, დილის „ჩირთიფირის“ მომზადებისას ახსენდება სოხუმის საავადმყოფოში მწოლიარე მამა, მართალია, „მამის ექვსი წლისა იყო, მაგრამ დედ-მამის ლაპარაკი მაინც კარვად ახსოვს...“ და უცებ – „რომ ავდგე და მამის მოსაძებნად წავიდე...“ – ეს აზრი იმდენად შეიპყრობს ბიჭს, რომ საუზმესაც ვერ ამთავრებს: „ხელები ამიტაცხება და მეორე კვერცხი ველარ გავფცქვენი“. ისმის კითხვა – რა მოხდა? რატომ და როგორ მიიღო ასეთი უცაბედი გადაწყვეტილება ბიჭმა? პასუხი ერთადერთია – ბიჭს იმედი აქვს, რომ მამის საშუალებით დედას, ოჯახს დაიბრუნებს. მამის გარეშე დამოუკიდებლად, ჩვენ ვნახეთ, რომ მან ვერ შეძლო დედის შენარჩუნება და ეს პატარა ბიჭი, შესაძლოა, ამ ყველაფერს ვერც კი აცნობიერებს, მაგრამ მტკიცედ გადაწყვეტს, რომ ეს აუცილებლად უნდა გააკეთოს. ზრდასრულ ადამიანებს უჭირთ, მე ვიტყვით, დიდი და გმირული გადაწყვეტილებების მიღება, არა თუ სისრულეში მოყვანა. ბიჭი კი მაშინვე შეუდგება მის აღსრულებას; მართალია, სულ ორი კვირა იცხოვრა იმ სარდაფში, მაგრამ „ისე შეეჩვია, რომ უკვე ენახება მისი მიტოვება“, მაგრამ იმდენად მყარია საკუთარ გადაწყვეტილებაში, რომ გოშკას შეგონებისდა მიუხედავად, წასვლას არ გადაიფიქრებს: „უბრალოდ ხდებოდა, ძალიან უბრალოდ ხდებოდა ყველაფერი...“ მატარებელი უკან ჩამოიჭოვებს „სველ ბაქანს... გრძელ, გაჭიმულ ქუჩას... ტროტუარის გასწვრივ ჩალაგებულ სავაჭრო ჯიხურებს, იქვე ახლოს მარტოხელა მშენებელი დალილი...“ მაინც რაში დასჭირდა მწერალს იმ უღიმღამო გარემოს აღწერის შემდეგ, რომელსაც ბიჭი ტოვებს, „მარტოხელა, მშენებელი დალილისთვისაც“ მიექცია ყურადღება? იმის თქმა ხომ არ სურს, რომ გმირი მშობლიურ გარემოში, ახალი ცხოვრების დასაწყებად მიემგზავრება და ქუჩას, მიუსაფრობას, შიმშილს, სევდას ტოვებს, ტოვებს უშიშრად, გმირულად – „რა შიში, რის შიში, პირიქით, მიხარია, მე ხომ იმას ვაკეთებ, რაც სხვამ ვერავინ შეძლო, ვერ გაბედა...“ ერთად ერთი, რასაც ის ნატრობს – „ნეტა ნუზარკა ცოცხალი ყოფილიყო, ისიც ხომ წამოვიდოდა... ოჩამჩირეში ერთად ვივლიდით, იქიდან ის გზას სოხუმისკენ გააგრძელებდა, მე კი ტყვარჩელში დაეუბრავდი“. რამდენი სიყვარული, სითბო, სევდა, მონატრებაა ამ სიტყვებში; ყველაფრის მიუხედავად პატარა გმირი შეუპოვრად აგრძელებს გზას მამისკენ და იხსენებს იმ ბედნიერ ბავშვობას, როცა სამივენი მთელ დღეს ზღვის პირას ატარებდნენ. ამ ნეტარ მოგონებებში ჩაძინებულს დილით მგზავრების ჩოჩქოლი აღვიძებს, ზუგდიდის სადგურში ენგურისაკენ მიმავალ „პაზიკს“ იპოვის, „მოფერს დაებაზრება“, ენგურამდე გამოგვყვებიო და მხოლოდ ამის შემდეგ იაზრებს, რომ იმ ბიჭებს ჰგავდა ახლა, რომლებიც „ალიკას კლდიდან“ გადმოსახტომად მიდიოდნენ: „ახლა მეც ასე ვიყავი: მეჩვენებოდა, რომ იმ კლდის თავზე ვიდექი და გადმოსახტომად ვემზადებოდი...“ ზოგჯერ უხიაგი ფიქრიც გაუელვებდა – „უკან ხო არ დაგბრუნდებოდა, მაგრამ ამ აზრს მაშინვე თავიდან ვიშორებდი“. მეტი რა ქნას პატარა გმირმა? როგორ შინაგან განცდებსა და ბრძოლებშია, მაგრამ იმდენად დიდი მონატრებული სახლ-კარისა და მამის ნახვის სურვილი, რომ შიშის მი-



© Nic Prout

ოქუპაციის 100 წელი

უხედავად იმისა, რომ უფრო ვუახლოვდებით ენგურს, მით უფრო მეტად მიპყრობდა შიში. არ ვიცოდი რა მელიდა იქ, რა დასხვადებოდა და ამიტომ გული გამაღებდა მიცემდა. უკან არ იხევს და მისი გმირობაც სათანადოდ ფასდება - კეთილი ადამიანების საშუალებით ე.წ. საზღვარს გადაკვეთს და მისი თანამგზავნი „დედაბერის“ წყალობით ორამჩირეში მიმავალ „მარშუტკაში“ მოხვდება. აქ ნაწარმოებში კიდევ ერთი მთავარი გმირი - ზღვა - შეიძლება. ბიჭი ალტაცებით ელოდება მის გამოჩენას: „ისე მიხარია, თითქოს როგორც კი მის თეთრქაფ-მოდებულ ტალღებს დავინახავ, მაშინვე ყველაფერი შეიცვლება და ის უზრუნველი დრო დაბრუნდება, კელასურის პლაჟზე რომ ვაჭარბდებით სამივენი - დედა, მამა და მე. დღემდე მახსოვს ზღვის სუნი, გემო და ხმა“.

ზღვის დასახსიათებელ ამ სამ კომპონენტს აფხაზეთისადმი მიძღვნილ არა ერთ ნაწარმოებში შევხვდებით, მაგრამ სულ სხვა განცდითა და დატვირთვით გადმოგვცემს ამას, გურამ ოდიშარის მსგავსად, ნუგზარ შატაიძე. ამ ორ მწერალთან ზღვის ორ სხვადასხვა სახეს ვხვდებით: ზღვა ომამდე და ზღვა ომის შემდგომ. გურამ ოდიშარისთან თოლიებით მოფარფარებულ ზღვას „ცეცხლნაკიდებელი ზღვა“ ცვლის, ხოლო ნუგზარ შატაიძესთან - „აღრიალებული ზღვა“: „დედა, თან შემზარავი ხმით ღრიალებდა. შიშით უკან დაეიხიე. არა, ასეთი ზღვა არასოდეს მენახა... ამდენი ხნის მონატრებული ზღვას იმედაცრუებული, კრიჭაშეკრული ვუყურებდი.“ ეს პირველი იმედაცრუებაა ბიჭისა. ზღვის სახით მას აღარ დახვდა მშვიდი და მოალერსე მასპინძელი; თითქოს ადამიანების სისხლს ნითლად შეეღობოს მისი „თეთრქაფმოდებული ტალღები“, ამიტომაცაა „ზღვის კაცისთვის“ იგი „ცეცხლნაკიდებელი“. ვაჟას კლდის მსგავსად განიცდის ზღვა მის უმნიშვნელო ტალღებში გარეულ ადამიანთა სისხლს. ბიჭი მკაცრ რეალობას უბრუნდება და სიცვივს, შიშილისა და დაღლას ერთდროულად გრძნობს და არც ის უწყის, თავი სად შეაფაროს; მსხნულად ისევ კეთილი ადამიანი ევლინება - ამ შემთხვევაში, „მარშუტკის მძღოლის“ სახით, რომელიც „ერთ ოჯახში“ მიიყვანს. მასპინძლისგან რუსულად საუბრის გაგონებისთანავე - „აუ აფხაზები!“ - გავივლე გულში და შიშისაგან თამამ შიშური დამინყა, ამბობს ბიჭი, მაგრამ სულ მალე აღმოაჩენს, რომ „გრუზინობის“ გამო არ „შეჭამენ“. ოთახში არსებული სითბო სასიამოვნოდ დაუვლის ძარღვებში და „ჯდომელა ძილის ოსტატი“ წარმოიდგენს ვითომ შინ არის, დედა სუფრას აწყობს... მაგრამ ამ მონატრებული ოჯახური იდილიდან მალე ფხიზრდება და საკუთარ თავს ეუბნება: „ეს დედა როდია, ეს დევის ქალია, რომელმაც კარადის უკან დაგმალა, რომ ნადირობიდან შინ დაბრუნებულმა დევა არ შეგჭამოს...“ რატომ მაინცა და მაინც დევი და დევის ქალი. როგორც ვიცით, დევი ქართულ მითოლოგიაში ბოროტებასთან, ბნელ ძალებთან ასოცირდება და ბიჭის წარმოდგენაშიც აფხაზებად ნოდებული აფსუები, რომელთაც თბილი და ტკბილი ოჯახი და ცხოვრება დაუნგრის, ლტოლვილთა უღელტეხილი გამოატარებს, მიუსაფარი ცხოვრების სიმწარე განაცდევინებს, რაღა უნდა იყენებოთ თუ არა ბოროტი დევი?! მაგრამ ნახეთ, თურმე ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორც ჩვენს გმირს წარმოუდგენია: აღმოჩნდა, რომ ზიტამ ქართული იცოდა და „გემრიელად კისკისებდა“ კიდევ, ხოლო ცოტა ხანში იმასაც აღმოაჩენს, რომ მისი ქმარი „რა დევი, ჩვეულებრივი ადამიანი იყო - საშუალო ტანისა, სუფთად გაპარსული, ქართველისაგან ვერ გარჩევდი“. მაინც რა არის ბავშვური ლოგიკა - „ქართველისაგან ვერ გარჩევდი“, ძალიან მარტივად გვაგებინებს, რომ ეთნიკური ნიშნის მიუხედავად ყველანი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ვართ. ცოლქმრის საურთიერთო ენა რუსულია. ამ დიდ პრობლემასაც მარტივი კითხვით გადმოგვცემს გმირი: „აფხაზები თუ არიან, რუსულად რატომ ლაპარაკობენ?“ მისი უბრალო ლოგიკისათვის თითქმის ორსაუკუნოვანი რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგი გაუგებარია. ხოლო, როცა დაურიც ქართულად მიმართავს - „გამარჯობა შენი“, ბიჭი გაკვირვებას ვეღარ ფარავს და თავისთვის ამბობს: „უყურე, ამასაც კარგი ქართული სცოდნია?!“ „კარგი ქართული“ ნამდვილად იცოდნენ აფსუებმა, არა მარტო ქართული, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „მთვარის მოტაცება“ ვნახეთ, კაც ზეამბაია მეგრულსაც და სვანურსაც თავისუფლად ფლობს.

„ცოდვას ვერ ვიტყვი, ბიძაჩემიც კარგი მოქართულე გახლავთ და აფხაზს ვერ ნახავთ, მეგრული რომ არ იცოდეს“ - ამბობს ნოდარ დუმბაძე თავის წერილში „გული“. ქართული ანბანის მიხედვით შეიქმნა ე.წ. აფხაზური ანბანი თავდაპირველად; შესაძლოა, ეს უბრალოდ დამთხვევა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ სტალინის გარდაცვალებისთანავე, 1954 წელს, ეს ანბანი გააუქმეს და სლავური ანბანის „თავ-ფეხ-ხელმობით“ შექმნეს ე.წ. აფხაზური ანბანი, რომელიც, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უფრო სათქმელადა აქვთ, ვიდრე „საქმენელად“, რადგან სკოლებში სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს და, ჯერ კიდევ ომამდე, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებსაც ბავშვები რუსულ სკოლებში შეჰყავდათ და ქართული სკოლები, ფაქტობრივად, დაცარიელებული იყო. რუსული სკოლა რომ ასეთი „პრესტიჟული“ იყო და არის აფხაზეთში, ამას ჩვენი გმირის მასპინძელი ცოლ-ქმარიც ადასტურებს: „ორივეს რუსული სკოლა გვაქვს დამთავრებული“, მიუხედავად იმისა, რომ „ქართველი დედები“ ჰყავდა ორივეს; იმ საღამოს ბიჭმა „მადიანი“ ვახშამი მიირთვა. ზიტამ ქართულ-აფსუური სტუმარ-მასპინძლობა გამოიჩინა: „შეძლებისდაგვარად“ გაუნძინდა და გაუსუფთავა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი სტუმარს. დილით, ნასასვლელად გამზადებული რომ ნახეს, საუზმის გარეშე არ გაუშვეს: „დავლიეთ ჩი, მივაყოლეთ ცხელ-ცხელი ხაჭაპურები... შევნიშნე როგორი თვალებით მიყურებდა ზიტა...“ და ამ თვალების გადამკიდეს „უეცრად“ ბიჭს მოუწოდებდა „ნამდვილი სახელის“ თქმა, „მაგრამ მიგვხვდი, რომ არ გამოდიოდა“. დამეთანხმებით, ისეთ მიღებას, ვახშამს, საუზმესა და გაცილებას აღწერს გმირი, რომ თითქოს დიდი ხნის უნახავ ნათესავებთან იყო სტუმრად; ან „როგორი თვალებით“ უნდა შეეხედა ზიტას ბიჭისთვის, რომ გულწრფელად მოეწონებინა მისთვის; ხოლო ტყვარჩელში მიმავალი მანქანის მომლოდინე „სტუმარ-მასპინძელი“ დუმილით უფრო მეტს ეუბნება ერთმანეთს, ვიდრე ენაჭარტალა მეზობლები: „რა უნდა მეკითხა, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო... ხელი დამიქნია. ისე მემშვიდობებოდა, თითქოს დროებით მიგდიოდი სადღაც და უკან უნდა დავბრუნებულიყავი.“ ამ მონაკვეთის კითხვისას აუცილებლად გაგახსენდება კაცის ილიას სიტყვები ნესტან-დარეჯანის დუმილთან დაკავშირებით ნათქვამი - „ნამდვილი გრძობა ყოველთვის უტყვია“. კი, ნამდვილად დროებით ვართ ქართველები ჩვენი ძირძველი საცხოვრისიდან გამოყრილები და აუცილებლად დავბრუნდებით უკან. იქამდე კი... იქამდე ყველამ ერთად ხელზე დაკაპინებული უნდა ვიშრომოთ და ვიბროლოთ იმისათვის, რომ ლტოლვილთა ოჯახები ისე არ დაინგრესა და გაპარტახდეს, როგორც ეს ჩვენი გმირის ლამაზ, მოსიყვარულე ოჯახს დაემართა. მშობლიურ ქალაქში ჩასული იქაურობას ვეღარ სცნობს, ვეღარ იხსენებს მამის სახეს, რომელიც ფანჯრებზემტვრეულ („მთელ კორპუსს ერთი ფანჯარაც ალარ შერჩენია“) და კარებზემტვრეულ სახლში აღარ დახვდება, სამაგიეროდ, დახვდება თავისი დაგლეჯილ-დაფლეთილი ბავშვობა „გერასიმეს“ სახით და მამის მშობლივ სუნის გახსენებასა და შეძლებს: „ვიგონებდი მის გაფართოებულ თვალებს, სიბრაზისაგან მოღრეცილ პირს, მაგრამ ეს თვალები, ეს პირი... მაინც ცალ-ცალკე იყვნენ და ვერაფრით ვერ გამეერთიანებინა... საკვირველი იყო, მაგრამ მამისა ყველაზე მეტად სუნი მახსოვდა“. გასაოცარი აღწერაა, ექვსი წლის ბიჭის მეხსიერებაში ჩარჩენილი სიმწრის, ტკივილისა და უსუსურობისაგან დაშლილი სახე მამისა, რომლის გამთლიანებაც ვერ შეძლო „ბავშვობაში სიჭაბუკის ტვირთნაშრონულმა“ ბიჭმა. ეს სახე არ ეკუთვნის ერთ კონკრეტულ ადამიანს, ვინც „ლტოლვილთა უღელტეხილი“ გამოიარა, ვინც 90-იანი წლები სამშობლოდან გაქცევის გარეშე, მასთან ერთად გადაიტანა თავისი ომებით, შიშილით, სიცვიით. დამეთანხმებით, სამწუხაროდ, ასეთ სახეებს ყველგან შეხვდებოდით... ზემოთ ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბიჭს იმდენად გზისა და აფხაზების შიში არა აქვს, რამდენადაც იმისა, „თუ რა დახვდება იქ“, იქ კი ისეთი რამ ხვდება, რომ „გახვეებული დგას და აღარ იცის როგორ მოიქცეს...“ ვერ ხვდება „სად წავიდა იმდენი ხალხი“, „უეცრად ჩვენი სადარბაზოდან ვიღაც შაოსანი დედაბერი გამობრუნდა“ და ბიჭი „რაღაც სასწაულის ძალით იცნობს“ ძველ მეზობელს; „იმავე სასწაულის ძალით სახელიც გაახსენდება...“, ისიც იცნობს: „ნენა, ქეთოსი ხარ ბიჭო შე-

ენა?!“ და მოხუცი, უპირველეს ყოვლისა, იმას ჰკითხავს ცოცხალი თუ არა ქეთო - ომის შემდგომ ეს ლოგიკური შეკითხვაა. სწორედ მარო ბებოსაგან შეიტყობს, რომ მამამისმა ცოლი შეირთო, „მომვლელი ხო ჭირდებოდა ავადმყოფ კაცს...“ იქვე გაამართლებს მის საქციელს. ადვილი წარმოსადგენია ისედაც გახვეებული ბავშვი რა დღეში აღმოჩნდებოდა: „სანამ არ ჩავახველე, კონტი ვერ დავძარი... ერთხანს ჩუმად ვიდევით“. ბოლოს ისევ ბავშვი მოვა გონს, რადგან გაახსენდება, რომ ნასასვლელია. მოხუცი გადაირევა - „არ გაგიშობ... ჩაის დაგაღვებ, კვერცხს მოგიხარშავ... თლათ დალუპული კი არ ვართ!“, მაგრამ ჩაისა და მოხარშული კვერცხის გარდა სხვა რამეს ვერ სთავაზობს სტუმარს და ბიჭის ზურგჩანთიდან ამოღებული „ხალვის დანახვაზე თვალები რომ გაუბრწყინდება“, მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენადაა იქ ჩარჩენილი მოსახლეობა „დალუპული“.

ბიჭი მაინც ინტერესდება თუ ვინ მოიყვანა მამამისმა და იმასაც გაიგებს, რომ დევიც ჰყოლია. მან სწორედ ახლა დაკარგა მამა, ახლა, როცა აფხაზი დედინაცვლის წყალობით, მართალია, მამამისი გადარჩა, მაგრამ ოჯახის გამთლიანების იმედი საბოლოოდ მოკვდა ბიჭისთვის, ამიტომ მოხუცის ხვეწნის მიუხედავად, აღარ რჩება მშობლიურ ქალაქსა და მხარეში; კვლავ წვალენ-წვალენით ბრუნდება უკან. მატარებელში ძილი არ ეკარება, იხსენებს ყველას, ვისაც ამ საოცარი მგზავრობისას გადაეყარა, იმასაც, „მაროსთან თავისი კედლის საათი რომ ნახა“, ცოტას ნანობს, რომ არ ნამოლო, „იქნებ დედა გახარებოდა კიდევ, მაგრამ არა უშავს, დედაჩემს თავისი ნიშნობის ბეჭედს მივუტან და მივუგებ, თავიანთ საქმეს თვითონ მიხედონ“. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ბავშვისათვის დედ-მამა უკვე აღარაა ოჯახი. თუ თავდაპირველად დედაზე გაბრაზებული ქვეცნობიერად იცავს მამას ბეჭდის წართმევით, ახლა მამის დაკარგვით დათრგუნული გადაწყვეტს „მიუგდოს“ დედას თავისი ნივთი და თითქოს უცხოები ყვინენ მშობლები მისთვის, ისე ფიქრობს: „თავიანთ საქმეს თვითონ მიხედონ“. თავად კი, თავად მატარებლიდან ჩამოსული „პირდაპირ ბაზრობაზე წავა“, სადაც „ორ ოცკაპიანი“ პარკს და ექვს ცალ ნეშოს იყიდის და თავის „სარდაფს მიაშურებს“. „მინდოდა გერასიმესთვის მკლავი მიმეკვრებინა, მაგრამ აღარაფრის თავი აღარ მქონდა“. ვერ გაამთელა თავისი ბავშვობა, ისევე როგორც ოჯახი, ან რილას თავი უნდა ჰქონოდა აფხაზეთშივლილ გმირს?! რომელმაც საკუთარ ბავშვობაში იმოგზაურა და რაც ვერ მოკლა მასში ომმა და უღელტეხილმა, მოკლა იმიტირებულმა მშვიდობამ, იმიტირებულმა გადარჩენამ. სარდაფის სახით მან თავის მარტოობას მიაშურა, მარტოობას, რომელსაც უამრავი „სპილოები, მარტორქები, ყორაფები, ზებრები, კამჩები, ლომები, ანტილოპები...“ „შეუვებდნენ“. „მოდითონ და მოდიოდნენ... სულ ბოლოს ორი გიენაც მოვიდა“.

მწერალი, ჩემი აზრით, აბსოლუტურად ლოგიკურად ასრულებს მოთხრობას - ქუჩისა და მარტოობისათვის განწირული მოზარდის „მომავალი“, ამ სასტიკ ცხოვრებაში, ისეთივე ტრაგიკული დასასრულისათვის არის განწირული, როგორც სოხუმელი და ტყვარჩელელი ბიჭების სიცოცხლე დასრულდა საქართველოს დედაქალაქში; მაგრამ რეჟისორი მაინც ვერ გაიმეტებს გმირს ასეთი სიკვდილისათვის და ფილმი ბიჭის თავდავინყებულ ცეკვით სრულდება, ცეკვით, რომელშიც გმირის განწირული სულის ძახილი ისმის:

„დაკოდილო გული ყვორი, ვერც ვერასდროს დადუმდები, სისხლიანი გზებით ვივლი, მაგრამ მაინც დავბრუნდები.“ (ჯანსუღ ჩარკვიანი)

თამარ ქობარიძე
სისო ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ნამუყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
• ვახტანგ როდონაია, ქართული ენა და ლიტერატურა, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სწავლანი“, 2012წ.
• ინტერნეტრესურსები



26 თებერვალს, თბილისის გასაზღვრების მთავარი დღის, ქვარციის მოსახლეობამ რუს-თაველის პროსპექტზე დიდი სამელოვიარო პროცესია მოაწყვა. ნინ მოჭქონდათ შავი კუბონი, რომლებშიც ქართველი ფაშუკთა გვამები ესვენა, ხოლო უკან, ნელი ნაზიკით მღვდარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაზიკებდა. „ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გოგონასთან შეერთებული მოკრძალოების გრძობას ინვევდა კომუნისტებისა და ნიუთლარმიელების რიგებში და ახალი ადმინისტრაციას აზრადარ არ მოსვლია ამ პროცესისათვის ხელი შეეშალა“ - იხსენებდა ამ ტრაგიკული მოვლენების შემსწრე გერონტი ქიქოძე. დღევანდელი პარლამენტის შენობის ქვეშ დღემდე განისვენებენ კოჭორ-ჭაბახძელოზე დაღუპული ათი იუნკერი და 20 წლის მონყალოების და მარო მყაშვილი. მათ შორის ტყვიამფრქვევისაგან დაფლითილი შლოვა ერისთავის სხეულიცაა. ერთ-ერთი მთვანი, ჩოხატყურელი იუნკერი, 22 წლის მყარ სოლომონის ძე ბურჯულაძე იყო, რომლის მშობლიურ სოფელ სამეგრეოში მისი გად-მოსვენება მთელმა სოფელმა, 1927 წელს, ზოლმევიზის ხანაში შეძლო.



ინკლუზია და განათლება

„ყველა ნიშნავს ყველას“

ინკლუზია და განათლება 30 ქვეყნის განათლების სისტემის მატარებელთა



ლალი ჯალაღა

გამოქვეყნდა იუნესკოს ანგარიში, რომელიც მოიცავს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და შუა აზიის 30 ქვეყნის განათლების სისტემებს. 2021 წლის განათლების გლობალური მონიტორინგის ანგარიში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებისთვის – „ინკლუზია და განათლება: ყველა ნიშნავს ყველას“ შემუშავებულია ერთობლივად იუნესკოს, სპეციალური საჭიროებებისა და ინკლუზიური განათლების ევროპული სააგენტოს და განათლების პოლიტიკის ცენტრების ქსელის მიერ. განათლების გლობალური ანგარიშის თანახმად, სეგრეგირებული განათლება და ჩართულობის პრობლემა ისევ შეინიშნება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

იუნესკოს ანგარიშს საფუძვლად უდევს 30 ქვეყნის განათლების სისტემებში მოძიებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც განხორციელდა შედარებითი ანალიზი, განათლებაში ინკლუზიის განსაზღვრისა და განვითარების დონის დასადგენად. 2021 წლის ევრაზიის ანგარიში მოიცავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს მთავრობებისთვის და სხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის, ინკლუზიის გაძლიერებისა და მდგრადი განვითარების მე-4 მიზნის პოლიტიკაში ასახვისთვის რეგირების მასშტაბით.

საქართველოს განათლების სისტემის არსებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა განახორციელა. ანალიზი დამყარებულია ქვეყნის განათლების სისტემის ინკლუზიის გამოწვევებზე რეაგირების მონაცემებზე და ითვალისწინებს 2020 წლის განათლების გლობალური ანგარიშის მიდგომებსა და პარტიკული ორგანიზაციების ექსპერტიზებს.

ანგარიშით ვიგებთ, რომ, მიუხედავად განათლებაში არსებული პროგრესისა, ჩართულობის პრობლემა ისევ სერიოზულ გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით კი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის. ბოლო ოცი წლის განმავლობაში, განათლებაზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა და სკოლის გარეთ დარჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა განახევრდა. თუმცა, სეგრეგირებული განათლება ბევრ ქვეყანაში დღემდე განიხილება როგორც პრობლემის გადაჭრის გზა. ანგარიში მოუწოდებს მთავრობებს, გადადგან შესაბამისი ნაბიჯები ინკლუზიური განათლების სისტემის ჩამოყალიბებისკენ, რადგან იგი უფრო ეფექტურად პასუხობს ყველა მოსწავლის საჭიროებას.

ანალიზს საფუძვლად უდევს საგანმანათლებლო სისტემების მიერ ინკლუზიის გამოწვევებზე რეაგირების მაგალითები. ანგარიშის თანახმად, რეგიონში შეიმჩნევა პროგრესი განათლების ინკლუზიური სისტემების დანერგვაში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების რაოდენობა სპეციალურ სკოლებში შემცირდა 78%-დან (2006) 53%-მდე (2016). ამავე პერიოდში, 30%-ით შემცირდა რეზიდენციულ დასახლებებში მყოფი ბავშვების რაოდენობა. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებობს სეგრეგირებული განათლების მემკვიდრეობა, რომელიც ერთ დროს არასწორად იქნა შეფასებული, როგორც ეფექტური.

სტუდენტთა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების კვლევებზე მიხედვით, რეგიონის 22 ქვეყანას აქვს ცალკე სკოლები ენობრივი და ეთნიკური უმცირესობებისათვის (მათ შორისაა ჩვენი ქვეყანაც), თუმცა, ამ შემთხვევებში, არსებობს პარალელური განათლების უზრუნველყოფის რისკებიც. თუ განათლებას საკუთარ ენაზე იღებენ ახალგაზრდები, ამ პროცესს სეგრეგირებულ გარემოში გარკვეული რისკები ახლავს. თუ ამ ჯგუფების სასწავლო პროცესს განსხვავებული პროგრამების, სასწავლო მასალების და სახელმძღვანელოების მეშვეობით მიმდინარეობს, ეს საფრთხეს უქმნის საზოგადოებაში მათ სრულფასოვან ინტეგრაციას. ამიტომ ზოგადი ტენდენციაა მათი ჩვეულებრივ სასწავლო გარემოში ადაპტაცია და აქცენტები უფრო ბიულთერული სწავლების მნიშვნელობაზე კეთდება. განსხვავებული პროგრამები ხელს უწყობს ეთნიკური სტერეოტიპების ჩამოყალიბებას. მთავარი მიზანია, რომ ყველა ამ ჯგუფმა მიიღოს შესაბამისი, იმავე ხარისხის განათლება, როგორც სხვა დანარჩენი მოსწავლეები იღებენ. ანგარიში ასევე ვკითხულობთ, რომ სახელმძღვანელოები ითარგმნება უმრავლესობის ენიდან და უმცირესობებისთვის ხელმისაწვდომი საგნების რაოდენობა ლიმიტირებულია. ბილინგვური განათლება, სადაც უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები სწავლობენ ერთმანეთის ისტორიის და ტრადიციებს, იშვიათი გამოჩენილია.

ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად, კვლევის მიხედვით, სახელმძღვანელო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სკოლის გარეთ დარჩენა. ამის მაგალითად კი, მოყვანილია სამი ქვეყანა – საქართველოში, ყაზახეთსა და მონღოლეთში სკოლის გარეთ დარჩენილ მოსწავლეთა შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პროცენტული წილი, საშუალოდ, ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე სკოლაში მყოფი მოსწავლეების პროცენტული წილი (საქართველოში, ნორმალურ სასწავლო პროცესში ჩართულ შემოსწავლეთა წილი 7.5%-ია, ხოლო სკოლის გარეთ

დარჩენილთა წილი 13.9%-ს შეადგენს). აღნიშნულია, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ რეგიონისთვის. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყოველი მესამე მოსწავლე კვლავ ჩარიცხულია სპეციალურ სკოლებში.

ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია, ასევე, იმ ხელისშემშლელ პირობებზე, რომელიც COVID-19-მა, ინკლუზიის დანერგვის მიმართულებით, შექმნა რეგიონში. კვლევის თანახმად, დისტანციური განათლება დაბრკოლებას წარმოადგენს საშუალო სკოლის ყოველი მეოთხე მოსწავლესთვის, რომელსაც არ აქვს პერსონალური კომპიუტერი და ყოველი მეათე მოსწავლესთვის, რომელსაც არ აქვს წვდომა ინტერნეტზე. ჩეხეთის რესპუბლიკაში, 15 წლის მოსწავლეთა, დაახლოებით, 16% არ იყო ჩართული ონლაინ სწავლების თავდაპირველ ეტაპზე. უკრაინაში – მოსწავლეთა მხოლოდ 1%, თუმცა ბომა მოსწავლეების 20% არ იღებდა მონაწილეობას დისტანციურ სწავლებაში. ქვეყნების მხოლოდ 38%-მა შექმნა სასწავლო მასალები უმცირესობების ენებზე. ხორვატიაში, მოსწავლეები, რომლებიც არ საუბრობენ ხორვატულ ენაზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და ლტოლვილი მოსწავლეები, წინააღმდეგობებს ნაწყენდენ ენობრივი ბარიერის გამო. ქვეყნების, დაახლოებით, 38%-მა დამატებითი დახმარება გაუწია ღარიბ ოჯახებს, რაც მოიცავდა ფულად დახმარებას და შეწყვეტილი სასკოლო კვების მომსახურების ანაზღაურების მიზნით დახმარების განცეას.

გლობალური განათლების მონიტორინგის ანგარიშის დირექტორის, მანოს ანტონინისის შეფასებით, COVID-19 პანდემია წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას ინკლუზიური განათლებისთვის, ამიტომ „იმპულსი დაიკარგება თუკი მთავრობები სასწრაფოდ არ მიანიჭებენ პრიორიტეტს ინკლუზიური განათლების გამოწვევებს, რაც ხელს შეუწყობს უკეთესი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც აფასებს ყველა მოსწავლის განსხვავებულობას“.

ასევე ყურადღება მახვილდება იმაზეც, რომ პანდემიის პერიოდში, მოსწავლეებისთვის, განსაკუთრებით სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, ფსიქოსოციალური დახმარება სათანადოდ არ იყო განულები. დისტანციურმა სწავლებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ სოციალურად დაუცველი მოსწავლეები კიდევ უფრო იზოლირებულად იგრძნობენ თავს, იქნებან პასიურ რომში და აღმოჩნდებიან სწავლისგან ჩამოშორების საფრთხის წინაშე. მაგალითად, ჩრდილოეთ მაკედონიაში შექმნა ონლაინ პლატფორმა მასწავლებლებისა და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლების დასახმარებლად, ხოლო ბულგარეთში უზრუნველყო სატელეფონო ცხელი ხაზი მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების გასაწევად. თუმცა, ანგარიშში ვკითხულობთ, რომ დისტანციური სწავლების უმეტესი სერვისები შემუშავდა სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობაზე ყურადღების გამახვილების გარეშე.

ანგარიშის მიხედვით, ექსპლუზიის ექსპერტული ფორმები პანდემიამდეც არსებობდა – მონღოლეთში, მიდღარი მოსახლეობის 95%, ხოლო ღარიბი მოსახლეობის მხოლოდ 37% ამთავრებს საშუალო სკოლას; თურქეთში, სადაც 600 000 სირიელი ლტოლვილი ბავშვი და ახალგაზრდა იყო მოქცეული საზოგადოებრივ სისტემაში, 37% ჯერ კიდევ სკოლის მიღმა რჩება; ბომა ბავშვები, დღემდე, ყველაზე გარყიული ჯგუფია რეგიონში. ანალიზი აჩვენებს, რომ ბალკანეთში ბომა, აშკარად და ეგვიპტელი ახალგაზრდების დაახლოებით 60% არ არის ჩარიცხული საშუალო სკოლაში; ბოშების მხოლოდ 3% ამთავრებს საშუალო სკოლას მონტენეგროში. ბომა ბავშვები ასევე არაპროპორციულად დაინაზრებულნი არიან ინტელექტუალური შეზღუდვაში შესაძლებლობებით. სლოვაკეთში, ბოშური წარმომავლობის მოსწავლეები შეადგენდნენ სპეციალურ კლასებში არსებული ბავშვების 63%-ს და სპეციალური სკოლების მოსწავლეების 42%-ს.

ასევე ხშირია გენდერული დისკრიმინაციაც. ბელარუსში ტრენინგების სახელმძღვანელოები ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების გამყარებას. 2016 წელს გატარებული თურქული სასწავლო გეგმის რეფორმა თითქმის არ ახსენებს ქალების უფლებებს. 23-დან მხოლოდ 7 ქვეყანას აქვს პოლიტიკა, რომელიც აშკარად ეხმარება და კრძალავს სკოლაში ბუღინგს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან გამომხატვის საფუძველზე. რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა კრძალავს სკოლებში ლგბტ საზოგადოების არსებობის შესახებ ლაპარაკს.

ანგარიშში საქართველოს მონაცემები რამდენიმე მიმართულებით ადასტურებს პროგრესს. საზგასმულია საქართველოს მნიშვნელოვანი და სწრაფი პროგრესი სპეციალური დასწავლებლების დენსტიტუციონალიზაციის მხრივ 2005-2015 წლების პერიოდში. 1989 წლის მონაცემებით, სპეციალურ დასწავლებლებში რიცხულ მოსწავლეთა რაოდენობა 20000-ს აღწევდა, ხოლო 2016 წლისთვის 1000 მოსწავლედ შემცირდა. პოზიტიური მაგალითად მოყვანილია სხვადასხვა უწყებების (მაგ. განათლების და ჯანდაცვის უწყებების) ერთობლივი, ნაყოფიერი თანამშრომლობა ინკლუზიის პრინციპების დანერგვისათვის.

საქართველო, აგრეთვე, ლიდერია რეგიონში 2014-2018 წლებში გადამზადებულ პედაგოგთა რაოდენობით, ვინც გაიარა ინდივიდუალური სწავლების მეთოდების და ინკლუზიის კურსები. აღნიშნულია საქართველოს მიღწევები ინფრასტრუქტურის ადაპტაციის მიმართულებით. თუმცა, საზგასმულია გამოწვევებიც, რომელიც საქართველოს განათლების სისტემის წინაშე დგას. საქართველო ლიდერია რეგიონში საერთაშორისო შეფასებებში მოსწავლეთა დაბალი მიღწევების მხრივ, რაც მკაფიო ინდიკატორია ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვაში არსებული მწვავე პრობლემებისა. ნახსენებია მოწყვლადი ჯგუფების მიმართ ის უარყოფითი სტერეოტიპები და დამოკიდებულებები, რაც გაბატონებულია საზოგადოების ნაწილში და რისი გამოსწორებაც აუცილებელია უფლებრივ პრინციპებზე დამყარებული, ჯანსაღი ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებისათვის. ასევე, საქართველოს გამოწვევად დაფიქსირებულია სიღარიბის მაღალი დონე.



კვლევით ვიგებთ, რა პროგრესი ან გამოწვევებია ინკლუზიური განათლების მიმართულებით, თუმცა, მხოლოდ იმის გაგება, თუ სად ვართ, არ კმარა პრობლემების მოსაგვარებლად. რას გეგმავს ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვების თვალსაზრისით და როგორ გეგმავს სახელმწიფოს ჩართვას პროცესებში, რომ მონაცემები მხოლოდ ციფრებად და ასახულ შედეგებად არ დარჩეს? ამის შესახებ განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელი **გიორგი მაჩაბელი** ამბობს, რომ საწყის ეტაპზევე აცნობებს სამინისტროს, ასეთი ინფორმაციის შეგროვება რომ იგეგმებოდა და მეტიც, დახმარებაც სთხოვს: „გაგებით მოეკიდნენ და მხარში დაგვიდგნენ, აქტიურად ჩაერთვნენ მუშაობაში. სამინისტრომ გამოყო ჯგუფი და ჩვენთან ერთად მონაწილეობდა მონაცემების შეგროვებაში, პირადად ეკა დგებოდა იყო კვლევით დაინტერესებული. შეიძლება ჩაითვალოს ერთდღე შრომად. მიგნებებიც და გამოცემული ანგარიშიც მიეწოდა სამინისტროს, აქედან გამომდინარე, საქმის კურსში არიან. თუმცა, მეორე საკითხია რამდენად განხორციელდება სამინისტროს მხრიდან კვლევის შედეგების ანალიზი და გაკეთდება შესაბამისი დასკვნები, საბოლოოდ კი, იმ პოლიტიკაში ასახვა, რომელიც სამინისტრო ახორციელებს. იმედი მაქვს, კონტაქტები და შეხვედრები გაგრძელდება. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ კვლევის მიგნებები აუცილებლად იქნება გამოყენებული იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც კონკრეტულად ამ საკითხებზე მუშაობენ. ამიტომ, იმედი, მათაც ექნებათ ინტერესი სამინისტროსთან და ჩვენც რალაც რეზულტატებს მივაღწევთ. მაგრამ რამდენად გამოიყენებს თვითონ სისტემა ანგარიშს – რამდენად ეფექტურად განახორციელებს ინტერვენციებს ამ მიმართულებით, რომ ამ რისკების მინიმიზაცია მოახდინოს, ეს უკვე თვითონ სისტემის საქმეა. ჩვენი ინსტიტუტი, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, ჩართულია პროცესებში და ამ მიმართულებითაც დავეხმარებით სისტემას, რომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას რეკომენდაციების შესასრულებლად, რომელსაც იუნესკო ამ კვლევაში აძლევს სახელმწიფოებს, კონკრეტული საჭიროებების მიხედვით. ყოველ შემთხვევაში, დღის წესრიგში ეს საკითხი ნამდვილად დგას და ინტერაქციის დროს სამინისტროსთან და სხვადასხვა რგოლებთან ვითანამშრომლებთ.“

რაც შეეხება კვლევაში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას, ნელს პირველად ჩავერთეთ მსგავს კვლევაში. იუნესკო, პერიოდულად, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას მონიტორინგს უტარებს. შუალედური მონიტორინგის შემდეგ, საკარაულოდ, საბოლოო შედეგებითაც დაინტერესდება, რადგან მხოლოდ ასე დაადგენს როგორ იმოქმედონ შემდეგში სახელმწიფოებმა – პროგრესი დააფიქსირეს თუ რეგრესი, ეს გადაწყვეტს სამომავლო სამუქმედო გეგმას.

ბატონი გიორგი ამბობს: „ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, სად ვართ და გვექნდეს მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ ვასრულებთ ჩვენ მიერ აღებულ ვალდებულებებს. ამიტომ, ალბათ, მომავალშიც გავაგრძელებთ მონაწილეობას ამ მიმართულებით. ჩვენ მიერ შეგროვებული ინფორმაციის გარდა, ცხადია, იუნესკოს სხვა მიმართულებებითაც აქვს ინფორმაცია და ის ემყარება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევებს – მსოფლიო ბანკის, OECD - ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, იუნისეფის და ა.შ. ინფორმაციებს. ასევე, იყენებს მათემატიკასა და ნივნიერებაში მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასებების მონაცემებსაც. ამ მხრივ, შედარების საშუალებაც იყო, მოსწავლეთა მიღწევების მიმართულებით, ჩვენი ქვეყანა, საშუალოდ, რეგიონში, ერთ-ერთ დაბალ საფეხურზეა. თუ საერთაშორისო მიღწევების მონაცემებს მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით შევხედავთ, ვნახავთ, რომ გვყავს მოსწავლეთა ჯგუფები, რომლებიც საკმაოდ წარმატებით ართმევენ თავს შეფასებებს და მიღწევებიც, ანუ საკმაოდ მაღალი ქულებიც აქვთ, მაგრამ ძალიან მცირეა ასეთი ჯგუფები და ყურადსაღებია ისიც,



ინკლუზია და განათლება

რომ ისინი, ძირითადად, კერძო სკოლებისა და დიდი ქალაქების პრესტიჟული სკოლების მოსწავლეები არიან, უფრო დიდი ჯგუფი მოსწავლეებისა კი ვერ ართმევს თავს შეფასებებს. შესაბამისად, ისინი უფრო მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები არიან – სოციოეკონომიკურად უფრო დაბალი სტატუსის მქონე მშობლების შვილები, არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები და ა.შ. რაც მთავარია, მათ მონაცემებს შორის განსხვავება, ანუ მიღწევებს შორის სხვაობა ძალიან დიდია. ამ მკვეთრ განსხვავებებში მოჩანს სეგრეგაციის ის პრობლემა, რომელიც ჩვენს განათლების სისტემას აქვს. ამ განსხვავებების შემცირებაზე უნდა ვიზრუნოთ, ცხადია, არა იმ მიმართულებით, რომ კარგი მოსწავლეების მონაცემები დაგნოთ დაბლა, არამედ იმ დაბალი მონაცემების მქონე მოსწავლეების მიღწევები გავზარდოთ, გავათანაბროთ მაღალი მონაცემების მქონე მოსწავლეებთან. ინკლუზიური განათლების დანერგვა და ინტეგრაცია ჩვეულებრივ სასწავლო გარემოში და სწავლების ხარისხის აწევა სისტემის წინაშე უპირველესი ამოცანაა, ამიტომ სწორედ აქეთ უნდა მივმართოთ ძირითადი მუშაობა. მართალია, ბევრი პროგრესული ნაბიჯი გადადგმული ამ მიმართულებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკმარისად არ აისახება შედეგებზე. რატომ? იმიტომ, რომ არ აქვს სისტემატიზებული ხასიათი, მოიკოჭლებს სწორი დაგეგმვისა და სტრატეგიული მიზნების განსაზღვრის პოლიტიკაც, მიზნების მიღწევის განსაზღვრული და დაგეგმილი გზები არ არის იდენტიფიცირებული და ა.შ.

და მაინც, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები რეკომენდაცია ან პრობლემა, რომელიც კვლევით წარმოჩინდა? – გიორგი მაჩაბელი ამბობს, რომ თუ ანგარიშს დავუდგინებთ, ბოლო ათი წლის განმავლობაში, ინკლუზიური პრინციპების დანერგვის მიმართულებით, ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, ამ მხრივ დიდი შრომა გაწეული, ჩადებულია ადამიანური და ფინანსური რესურსები, შესაბამისად, რაღაც მიმართულებებით პროგრესიც ფიქსირდება. თუმცა, მისივე თქმით, ეს არ უნდა გვაძლევდეს დანაშაურობის საშუალებას, უფრო მეტია გასაკეთებელი თუნდაც იმ მიმართულებებით, სადაც გამოწვევები და პრობლემები დაფიქსირდა. „პირველ რიგში კი, უფრო მეტი უნდა გაკეთდეს მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომ ისინი ინტეგრირებული იყვნენ ჩვეულებრივ სასწავლო

პროცესში, ანუ სკოლის მიღმა ბავშვების საკმაოდ დიდი რაოდენობა დარჩენილი, განსაკუთრებით, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები. ყველაზე დიდი მიღწევა იქნება, თუ ჩვენ შევძლებთ მათთან დაკავშირებული სტერეოტიპების გარღვევას და მათი მხრიდანაც დამოკიდებულებების შეცვლას (ზოგს, გარკვეული მიზეზების გამო, თავად არ სურს ჩვეულებრივ სასწავლო გარემოში ჩართვა და თანატოლებთან ყოფნა). ამ მიმართულებით არა მარტო განათლების სისტემა, საზოგადოებაც უნდა მუშაობდეს, აქტიურად უნდა იყოს პროცესებში ჩართული. მკაფიოდ ჩანს, რომ სტერეოტიპების მხრივ, ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემები გვაქვს – საზოგადოებაში მიმდებლობა ნაკლებია, სამწუხაროდ, ვხვდებით სიძულვილის ენით საუბარს და სტიგმატიზირებას და ა.შ. ამ მიმართულებით ცნობადობის ამაღლება, საზოგადოების ინფორმირებულობის დონის აწევა, ანუ განათლების კომპონენტის შეტანა სტერეოტიპების დამსხვრევაში დაგვეხმარება, რაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი საზოგადოებისთვის.“ – ამბობს გიორგი მაჩაბელი.

ანგარიში ახალია 10 რეკომენდაციას, რომელთა შორისაა:

- ✓ ინკლუზიური განათლების გაგების გაფართოება, ყველა მოსწავლის ჩართვის გზით, განურჩევლად მათი იდენტობისა, წარმომავლობისა და შესაძლებლობისა;
- ✓ 27-დან 19 ქვეყანა, მათ კანონმდებლობაში ან სხვა დოკუმენტებში, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებების განმარტებას უკავშირებს ექსკლუზიურად შეზღუდულ შესაძლებლობებს და არ ითვალისწინებს სხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფებს;
- ✓ 30 სტრატეგიიდან მხოლოდ 9 ამავსებებს ყურადღებას გენდერულ თანასწორობაზე;
- ✓ ყველა მასწავლებელი უნდა იყოს მომზადებული, რომ დაეხმაროს და ასწავლოს ყველა მოსწავლეს. 2018 წელს, საშუალო სკოლის მხოლოდ ყოველი მეორე მასწავლებელი გრძნობდა თავს მომზადებულად, რომ ემუშავა შერეული შესაძლებლობების კლასებში და ყოველი მესამე – კულტურულად მრავალფერო-

ვან კლასებში. ჩეხეთის რესპუბლიკაში, შესაბამისი შეფარდებები იყო ყოველი მეხუთე და ყოველი მეთათ მასწავლებელი;

✓ ყველა მოსწავლემ უნდა ისწავლოს ერთნაირი სასწავლო პროგრამით. რეგიონში გარკვეული ჯგუფებისთვის შინაარსი განსხვავებულია. ეს, ხშირ შემთხვევაში, ხელს უწყობს სოციალური ცრურწმენების და სტერეოტიპების გავრცელებას. თუმცა, 2017 წლიდან, რუმინეთის კურიკულუმი მოიცავს ბოშების ყოვლისმომცველ ისტორიას, ხოლო აზერბაიჯანში, სახელმძღვანელოების შეფასების პროცესში, შემოიტანა გენდერული თანასწორობის კრიტერიუმი, მაგრამ ამ კრიტერიუმს დაბალი წონა მიენიჭა;

✓ მნიშვნელოვან კონსულტაციებში მონაწილეობა. მოლდოვის რესპუბლიკა რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც რთავს მოსწავლეებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ახალი კანონი სერბეთში ხაზს უსვამს მშობლების ვალდებულებას, ხელი შეუშალოს დისკრიმინაციას, ასევე მათ უფლებას მონაწილეობა მიიღონ წარმომადგენლობით ორგანოებში. ნევადაში დამოკიდებულება ინკლუზიური განათლების მიმართ საერთოა: უზბეკეთში 70% ამბობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები სპეციალურ სკოლებში უნდა სწავლობდნენ. ამის დაძლევა შესაძლებელია, თუკი მშობლები სათანადოდ იქნებიან ინფორმირებულნი. სამოქალაქო საზოგადოება ასევე ფუნდამენტურ როლს თამაშობს, როგორც ინკლუზიური განათლებაზე უფლებების ადვოკატი და მეთვალყურე. ისინი ასევე ატარებენ საინფორმაციო კამპანიებს, მაგალითად ჩრდილოეთ მაკედონიაში, რაც ზრდის ინკლუზიური განათლების მიმართ მხარდაჭერას;

✓ განათლების პოლიტიკის ცენტრების ქსელის აღმასრულებელი დირექტორი, ლანა იურკო აღნიშნავს, რომ „პოლიტიკის ადეკვატური პასუხის ნინაპირობა არის მოსწავლეთა განსხვავებულობის, როგორც შესაძლებლობის დანახვა. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეობითი პოლიტიკის შემუშავება ადეკვატური ზომაა, რომელიც რეგიონში აღიარებას იძენს, ის უნდა გაძლიერდეს იმ მხრივ, რომ მოიცვას უფრო მრავალფეროვანი დაინტერესებული მხარეები და მხედველობაში მიიღოს მშობლებისა და მოსწავლეების მოსაზრებები.“

საგანმანათლებლო ლიდერი

თანამედროვე სკოლა მსოფლიო მოქალაქის აღზრდას ითხოვს



თაორა ადიშვილი
ვანის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

რას მოითხოვს სახელმწიფო და რა სურს საზოგადოებას

დირექტორი საგანმანათლებლო ლიდერია, რომელიც ლიდერების ჯგუფთან ერთად მართავს სასწავლო პროცესს და ქმნის უსაფრთხო, პოზიტიურ გარემოს.

სახელმწიფო დირექტორს უწევს სტანდარტს, რომლის შესრულება სასკოლო ცხოვრების სრულყოფილების წინაპირობაა, მოითხოვს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას, რომელიც თითოეული მოსწავლის აკადემიური და პიროვნული განვითარებისკენაა მიმართული.

საზოგადოებას სურს ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა ბავშვი აღიარებული, დაფასებული და რეალიზებულია. სახელმწიფოს და საზოგადოების დაკვეთა იდენტურია, მიზანი ერთია, ისეთი სკოლის შექმნა – „კარგი“ სკოლა – სადაც ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს უხარია მისვლა, სადაც თბილი, ოჯახური, განვითარებაზე ორიენტირებული გარემოა, სადაც ყველას უნარი გამოვლენილი და აღიარებულია.

საგანმანათლებლო ლიდერი, თავად უნდა იყოს საუკეთესო მასწავლებელი, მოდელი კარგი ვაკეტილის, მოდელი კარგი მასწავლებლის, უნდა სუნთქავდეს საკლასო ოთახის სურნელს, უნდა ენთუზიუდით მოსწავლეთა დანახვისას თვალში, უნდა იცნობდეს კლასის მართვის, საგაკვეთილო პროცესის ყველა ნიუანსს, უნდა იყოს ცოცხალი მონაწილე ამ პროცესების. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებელი, რომელიც ძალიან სენსიტიურია პროცესების მიმართ, ვერ აღვტყვამს ლიდერად, ხოლო მოსწავლე სკოლას ვერ აღიქვამს ადგილად, სადაც ეხმარებიან სწავლაში, ესმით და სჯერათ მისი.

უმნიშვნელოვანესია დირექტორის პიროვნული თვისებები,

ბი, რამდენად უყვარს თავისი საქმე და მზადაა ემსახუროს სკოლას და საზოგადოებას გულწრფელად და უშურველად.

რა ძირითადი ელიმენტებია განსაზღვრული სკოლის ხარისხი

1. სკოლის ხარისხი ეყრდნობა სასწავლო პროცესის წარმართვის მაღალ ხარისხს. პროცესის წარმატებისთვის აუცილებელია გუნდი, რომელიც განვითარებაზეა ორიენტირებული, რომელიც სწავლობს, რათა ასწავლოს და მოსწავლეები მიჰყავს მაღალ შედეგებამდე;
2. მონესრიგებული, მოსწავლეზე მორგებული ინფრასტრუქტურა და სასწავლო რესურსები;
3. სწორად შერჩეული სასკოლო პროექტები;
4. განვითარებაზე ორიენტირებული მონიტორინგი და შეფასების გამჭვირვალე, ვალიდური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია მოტივაციის ამაღლებაზე;
5. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის;
6. გვაქვს თვითრეგულაციისა და კონსტრუქციული უკუკავშირის გამართული სისტემა;
7. აქტიურად ვერთვებით სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში;
8. ვწერავთ მესამე თაობის ეროვნულ გეგმას ახალი სკოლის მოდელის საშუალებით;
9. ვახალისებთ მოსწავლეთა ინიციატივებს და ხელს ვუწყობთ მათ დაგეგმვასა და განხორციელებაში;
10. ვანვითარებთ ინკლუზიურ განათლებას;
11. ვცდილობთ, დავამკვიდროთ და მდგრადად განვითაროთ დემოკრატიული კულტურა;
12. ვალიარებთ და ვახალისებთ მასწავლებლებისა და მოსწავლეების წარმატებებს;
13. ვცდილობთ მშობელთა ჩართულობის გაზრდას და მშობელს მივიჩნევთ ჩვენი გუნდის წევრად.

პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს უამრავი გამოწვევა და ძალიან მაღალი მოლოდინები დროის მცირე მონაკვეთში.

რა გავლენას ახდენს სკოლის სასწავლო მოდელი მოსწავლეების შედეგებზე

სკოლა არ არის ერთადერთი ადგილი, სადაც ბავშვის განვითარება მიმდინარეობს. ვფიქრობ, რომ სკოლა, ოჯახი, საზოგადოება და სახელმწიფო ერთობლივად ქმნის გარემოს, რაც აისახება თითოეული ბავშვის პიროვნულ განვითარებაზე. სკოლა მოზარდებს უნდა სთავაზობდეს გარემოს, სადაც

ის დაცული და ბედნიერია, სადაც ყოველთვის არის მისი ნიშა, მიუხედავად უნარებისა.

სასკოლო კულტურა სარკესავით აისახება მოსწავლის პიროვნებაზე. იქ, სადაც მოსწავლის თითოეული უნარის განვითარებაზე ზრუნავენ, პიროვნება თავდაჯერებული, აქტიური და პატრიოტია საქმისა და ქვეყნის.

როგორ უნდა შეიცვალოს თანამედროვე ქართული სკოლა

დღევანდელი სკოლის მთავარი მისიაა აღზარდოს 21-ე საუკუნის მოქალაქე. ეს ნიშნავს, სკოლა გახდეს უფრო მოქნილი, რათა მომავალმა თაობამ უპასუხოს ცხოვრების გამოწვევებს. ორიენტირი უნდა მივმართოთ სრულფასოვანი ადამიანის აღზრდას, რომელსაც ექნება ანალიზის, სინთეზის და შეფასების უნარები და უპასუხებს გლობალურ გამოწვევებს. თანამედროვე სკოლა მსოფლიო მოქალაქის აღზრდას ითხოვს.

წარმატებული სკოლისთვის აუცილებელია

ძლიერი ლიდერი და ლიდერთა ჯგუფი, საქმის უსაზღვრო სიყვარული, განვითარებაზე ორიენტირებული მასწავლებლები, გამართული და მონესრიგებული ინფრასტრუქტურა, მშობელთა ჩართულობა და საზოგადოების პოზიტიური განწყობა. ასევე, უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული კულტურა, ინკლუზია და გუნდური მუშაობა. ვერ შეძლებს სკოლის გამომწვევებს გაუმკლავდე ძლიერი და მოტივირებული გუნდის გარეშე.

ამიტომ ჩემს მასწავლებლებს ვუმაღლებ მოტივაციას, ვგეგმავ სხვადასხვა პროექტებს, ვალიარებ მათ წარმატებას, ვსახავთ საერთო მიზანს და ვერთიანდებით მიზნის გარშემო.

ვცდილობ, შევქმნა ადამიანური, თბილი გარემო, სადაც ვინტერესდები თითოეული მასწავლებლის პრობლემებით.



✓ დირექტორს სჭირდება დაფასება და აღიარება როგორც სახელმწიფოსგან, ასევე საზოგადოებისგან, რათა მისი შრომა ადეკვატურად იქნეს დანახული.

✓ ახალი სტანდარტი ყოველმხრივ აფასებს დირექტორის შესაძლებლობებს და ვალდებულებებს, აწეებს მაღალ მოლოდინებს მისგან. სერტიფიცირების პროცესიც შესაბამისობაშია დირექტორის სტანდარტთან.

როგორ გადავიტანოთ პანდემია ისე, რომ ბავშვები ნაკლებად დაზარალდნენ

პანდემია, სკოლა და მშობლების გამოცდილება იყო პანელური დისკუსიის თემა, რომელიც ორ-განიზაციის „მშობლები განათლებისთვის“ ფარგლებში შედგა. დისკუსიას უძღვებოდა ორგანიზაციის დამფუძნებელი თამარ ილურიძე, მონაწილეობდნენ: ქეთი ჩაჩხანიანი – აპირიკის შვირთაბული შტაბბრიგად, ნინო დვალაძე – ინგლისიდან, თამარ დვალაძე – საფრანგეთიდან, მაკა ერასი – იტალიიდან და ანა წურჭული – საქართველოდან.

თამარ ილურიძე: „ვიწყებთ დისკუსიების სერიებს განათლების საკითხებზე. კვირაში ერთხელ, ჩვენ ვისაუბრებთ სხვადასხვა თემაზე, განსაკუთრებით იმ გამოწვევებზე, რომელიც წინაშე აღმოჩნდნენ სკოლები და საბავშვო ბავშვები, პანდემიის დროს. გადავწყვიტეთ, რომ საკუთარი შეხედულებები გაგვიზიაროთ მშობლებთან, როგორც უცხოეთში მცხოვრებმა, ასევე საქართველოში და მოგვიყვანონ, როგორია მათი ყოველდღიურობა, რა წესები მოქმედებს, რა შეიქმნა ბავშვებისათვის მათთან.“



რა წესებს ემორჩილებით ამაჟამად, როგორია თქვენი შვილებისა და თქვენი ყოველდღიურობა?

ქეთი ჩაჩხანიანი: ჩვენთან, არიზონას შტატში, ეპიდემიოლოგიური ვითარება, ჯერჯერობით, საკმაოდ რთულია, დადებითობის მაჩვენებელი, დაახლოებით, 10%-ია, თუმცა პოზიტიურია ის, რომ დაიწყო აცრები და დღეისათვის არიზონას მოსახლეობის, დაახლოებით, 10% აცრილია ან, მინიმუმ, აცრის პირველი დოზა აქვს ჩატარებული. იმ კატეგორიაში, ვინც პირველ ეტაპზე იცრება, არიან მასწავლებლებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალიან მალე ყველა სკოლის მასწავლებელი იქნება აცრილი. ალბათ სწორედ ამიტომაც, მოუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ შემთხვევების რაოდენობა ძალიან დიდია, მაინც იგეგმება სკოლების გახსნა. დიდი ნაწილი ისევ ონლაინ რეჟიმში მუშაობს, თუმცა იყო სკოლები, გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ჰიბრიდულ სწავლებაზე გადავიდნენ. ჩემი შვილების (VIII და XII კლასებში სწავლობენ) სკოლაში ონლაინ სწავლება. მხოლოდ მცირე ეპიზოდი იყო, როდესაც ჰიბრიდულ სწავლებაზე გადავიდნენ და მალევე დაუბრუნდნენ ონლაინ რეჟიმს. პირველი და ოფიციალური მიზეზი ის იყო, რომ სკოლაში გაიზარდა დაინფიცირების შემთხვევების რაოდენობა; მეორე, არაოფიციალური მიზეზი, რაც მასწავლებლებთან საუბარში გამეფლანდა, ჰიბრიდულ რეჟიმზე გადასვლის იმ მცირე მონაკვეთმა ძალიან დიდი სირთულეები აჩვენა და ამიტომ, ისევ ერთფეროვანი მიდგომით ვაგრძელება არჩევი. თუმცა, 15 მარტიდან, ისევ იგეგმება ჰიბრიდულ რეჟიმში გადასვლა, ოღონდ გარკვეული ცვლილებებით.

ნინო დვალაძე: ინგლისი ერთ-ერთი ყველაზე რთული ქვეყანაა, კოვიდის კუთხით, დაიწყო ახალი შტამის გავრცელება და განგაშის ზარი შემოჰკრეს ყველგან – მთავრობიდან დაწყებული, გარემო, ადამიანებს შორისაც საკმაოდ იგრძნობა შემფთვება იმიტომ, რომ ვისაც გადატანული აქვს კოვიდი, ისინიც კი საფრთხის წინაშეა. სკოლები, ქვეყნის მასშტაბით, ონლაინ რეჟიმში მუშაობენ. ჩემი ორივე შვილი (ერთი – I კლასში, მეორე – VI კლასში) ონლაინ სწავლობს, თუმცა მათთვის, ვისაც განსაკუთრებული საჭიროება აქვთ, სკოლები მაინც ღია რჩება. ასევე იმ ბავშვებისთვისაც, ვისაც სახლში არ აქვს კომპიუტერი ან არ აქვს ინტერნეტის საშუალო სივრცე.

სამსუხაროდ, ჯერჯერობით, უცნობია როდის გაიხსნება სკოლები. როგორც მთავრობა ამბობს, სავარაუდოდ, სააღდგომო არდადეგების დასრულების შემდეგ, ეს დამოკიდებული იქნება ვაკცინაციის პროცესზე. ისევე როგორც ამერიკაში, ჩვენთანაც ვაკცინაცია უკვე დაიწყო, თუმცა პროცესი არ მიდის იმ განრიგით, რაც თავიდან იყო განსაზღვრული, საკმაოდ ნელა მიდის და ძალიან რთულია იმის თქმა, გაიხსნება თუ არა სკოლები, რაც, ბუნებრივია, ბევრ სირთულეს ქმნის მშობლებისთვის.

თამარ დვალაძე: საფრანგეთში, დღესდღეობით, დაკეტულია ყველაფერი – რესტორნები, მუზეუმები, კაფე-ბარები, საკონცერტო დარბაზები, ორგანიზაციები გადასული არიან ონლაინ რეჟიმზე, თანამშრომლებს, კვირაში ერთხელ, სურვილის შემთხვევაში, ოფისიდან მუშაობა შეუძლიათ. მეტრო ჩვეულებრივ მუშაობს. სკოლები და კოლეჯები ისევე, როგორც ლიცეუმები ღიაა, უნივერსიტეტები კი ონლაინ რეჟიმში არიან, თუმცა, 10-15 დღის წინ, სტუდენტების ფსიქოლოგიური მდგომარეობის დეგრადაციის გამო, დაუშვეს, რომ პირველკურსელებს ნახევრად ევლოთ უნივერსიტეტებში.

ჩემი შვილები 10 და 13 წლის არიან, ორივე სახელმწიფო დანესტრუბლებში სწავლობს, უფროსი კოლეჯშია და უმცროსი – დანესტრის ბოლო კლასში. სხვადასხვა დანესტრუბლებში სხვადასხვანაირად მიდის მართვა, მაგალითად, კომუნიკაცია უფრო ადვილია დაწყებით სკოლასთან, ვიდრე კოლეჯთან. კოლეჯთან კომუნიკაცია, მხოლოდ და მხოლოდ, მშობლების ჯგუფების მეშვეობით გვაქვს, რომლებიც არჩეული არიან მედიაციისთვის სკოლასა და ჩვენ შორის. ჩემი უმცროსი შვილი სპეციალურ კლასში სწავლობს, კონსერვატორიასთან არსებული კლასია, ამიტომ, თუ კონსერვატორია სხვებისთვის დაკეტულია, ჩემი შვილის კლასისთვის ღიაა. ასეთივე კლასები არსებობს სპორტშიც და ცეკვაშიც, ძალიან სპეციფიკურად არის ორგანიზებული ამ მიმართულებით სწავლება. ჩვეულებრივ მიმდინარეობს გახანგრძლივებული სწავლება და ბავშვები (6 წლიდან), მთელი დღის განმავლობაში ნიღაბს ატარებენ. არის დისკუსია, როგორ ატაროთ ნიღბები უმცროსკლასელებმა.

როგორც ინგლისში, ჩვენთანაც ახალი შტამის დიდი სამომრეობა (3 ახალი შტამია) და ძალიან დიდი პანიკა, ცდილობენ, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ბევრი ბავშვი არ დაინფიცირდეს. ათი დღეა, რაც შეიცვალა წესი და როგორც კი ერთი ბავშვი აღმოჩნდება ამ შტამით ინფიცირებული, კლასს კეტავენ, როცა ადრე, კოვიდ-19-ის შემთხვევაში, 2-3 ბავშვის დაინფიცირების შემთხვევაში კეტავდნენ კლასს.

მაკა ერასი: ზოგადად ქვეყნის სიტუაციაზე ვერ ვისაუბრებ იმიტომ, რომ იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ არის ზედა დო-

ნის რეგულაციები, გვაქვს რეგიონალური განსხვავებები, ეპიდ-სიტუაციიდან გამომდინარე. ჩვენი რეგიონის გუბერნატორის გადაწყვეტილებით, დაახლოებით თებერვლიდან თებერვლამდე, დავრჩით სკოლის გარეშე მაშინ, როდესაც იტალიაში მიდიოდა სწავლა, ძირითადად, დაწყებით და საშუალო დონეზე. ჩემი შვილი სულ ახლახან დაბრუნდა სკოლაში. ეპიდსიტუაცია ამის საშუალებას იძლევა. ძალიან დიდი სტრესი იყო, როცა გასული წლის მარტში ყველაფერი დაიხურა და სახლიდან ვერ გავდიოდით, ჩემი შვილი ორი თვე ფეხგაუდგმელად იჯდა სახლში იმიტომ, რომ ბავშვის ვაგონა არ შეიძლებოდა, თანხლები პირი უნდა ჰყოლოდა და გასვლა მხოლოდ ერთხელ შეგეძლო, რაიმეს საყიდლად. მეორედაც, მსგავსი დახურვის დროს, ისევ ორი თვე ჩავგვეტეს რეგიონალურად, დასაშვები იყო გასვლა სასაქონლო (მოტორული სპორტული აქტივობა ერქვა).

ჩვენს რეგიონში, დაახლოებით 2-3 კვირაა, რაც ბავშვები სკოლებს დაუბრუნდნენ, შევიდნენ უფროსკლასელებიც. სკოლებში ნიღბებით დადიან. ზოგადად, ეპიდსიტუაცია საკმაოდ ნორმალურია იტალიაში.

ანა წურჭული: ჯერ კიდევ იანვარში, როდესაც მე და რამდენიმე მშობელმა გადაწყვიტეთ, დავევროგანიზებინა მშობლების აქცია, სახელწოდებით – „მშობლები ვითხოვთ გეგმას“, არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, როდის ან როგორ გაიხსნებოდა სკოლები. ამ ხნის განმავლობაში დავრწმუნდი, ჯერ კიდევ სექტემბერში, ძალიან აქტიურად უნდა მოგვეთხოვა გეგმა იმიტომ, რომ ახლა, იმ განცხადებების მიხედვით, რომელსაც ყოველდღე ვისმენთ, ნათელია, რომ სკოლა და ბავშვი, სექტემბერში, არ იყო გასახსნელად მზად, როდესაც მთავრობა ამბობდა, რომ სრული მზადყოფნა იყო. ყველაზე დიდი სირთულე, ამ პერიოდში, საქართველოში, ჩემი აზრით, ის არის, რომ 11 თვე პრაქტიკულად დაკეტული იყო სასწავლო დაწესებულებები და ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ ვმოქმედებდით არაპროგნოზირებად გარემოში. გეგმის არქონა, ვფიქრობ, ძალიან დიდ უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ბავშვებზე, ისე, ზოგადად, ოჯახებზე. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ინტერნეტთან და კომპიუტერთან ნდობა სერიოზული პრობლემაა, ამიტომ ონლაინ სწავლება არ აღმოჩნდა ყველასთვის მისაღები. ვფიქრობ, ყველას უნდა ჰქონდეს არჩევანი – საკუთარი ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით მიიღოს გადაწყვეტილება. დაკვეთით და დაევიწყეთ ეს პრობლემა – გამოსავალი ნამდვილად არ არის (როგორც დავინახეთ, ასეთი მიდგომა იყო). განსაკუთრებით დაბალი კლასების მოსწავლეებისთვის, ვითარების სპეციფიკური გამოდინარე, აუცილებელია კონკრეტული გეგმა, პროგნოზი, რუტინა, რაც მთლიანად მოერევათ ბავშვებს და ჩვენც, მშობლებიც აღმოვჩნდით ასე, მოლოდინში, რომ სკოლა ორ კვირაში გაიხსნებოდა. დიდი შიშით ვუთხარი ჩემს შვილს, რომ სწავლა პირველ მარტს დაიწყებოდა და მეორე გვეთხოვრეს, რომ 15 თებერვალს განახლდებოდა.

ამჟამ თუ არა მშობლებს არჩევანის შესაძლებლობა სხვა ძველებზე, ასევე, რა შეიცვალა სწავლების პირობებში, რომლებიც ბავშვების გამოცდილება

ანა: არ ვარ ონლაინ სწავლების წინააღმდეგი, როგორც სწავლების ფორმის. თუმცა, ვფიქრობ, როგორც სწავლების ყველა სხვა ფორმას, ამასაც სჭირდება კარგად მომზადება და კომპეტენციები. ჩემი შვილი იყო მოსამზადებელი (პრესტიჟული), ერთი სემესტრი მთლიანად ონლაინ გაიარა და შემდეგ უკვე პირველი კლასიც, პრესტიჟული გამო შედარებით მომზადებული შეხვდა ამ პროცესს. გაკვეთილები, დაახლოებით, 40 წუთამდეა, კლასში 19 მოსწავლე იყო და სწავლის დაწყებიდან დაახლოებით ერთ კვირაში, პედაგოგი იძულებული გახდა, კლასი შუაზე გაეყო, ანა გამოიწვია ცვლილებები ცხრილში. პედაგოგისთვის, ვფიქრობ, ძალიან სერიოზული დატვირთვა იყო, ყოველდღე, ერთი და იმავე გაკვეთილის ორჯერ ჩატარება.

პირველკლასელს, რომელიც რეგულში უნდა სწავლობდეს წერას, შეუძლებელია, ონლაინ გაკვეთილზე დაავალო, რეგულში ჩანეროს სიტყვები, განსაკუთრებით, როცა პირველკლასელის ქართულის რეგულზეა საუბარი, ამიტომ, ბავშვები თაბახის ფურცლებზე დიდი ზომის, უსწორმასწორო ასოებს წერენ, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს მათი წერის უნარზე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. დაავაკვირდი, რომ ამ პროცესის ორგანიზებას სახლში სჭირდება ცალკე ადამიანი, რაც მომუშავე მშობლის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია.

თუ აქამდე ვცდილობდით, რომ ბავშვები მოგვემორებინა გავლენებისგან, ერთ დღესაც მოვთხოვეთ, რომ ყველაფერი ისე სკოლიდან, რომ დამოუკიდებლად ემუშავათ. მასწავლებლისგან ვიცი, რომ ცდილობენ, იმ ოჯახებში, სადაც ბები-ბაბუები არიან ან ძიძები შყავთ, ბავშვს მაქსიმალურად დაეხმარონ სწავლის პროცესში, რაც, ჩემი გამოცდილებითაც ვიცი, რომ მნიშვნელოვანია. მე მქონდა ასეთი მაგალითი, როცა ვცდილობდი, ბავშვს დავხმარებოდი და კითხვას ასო-ასო ვასწავლიდი, რაც

აღმოჩნდა, რომ არ იყო სწორი. ვფიქრობ, ძალიან ბევრი ბავშვისთვის ეს სერიოზული პრობლემა იქნება, განსაკუთრებით მაღალკლასებში, მას მშობელი ვერ ეხმარება საგნის ათვისებაში.

ნინო: მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი საკმაოდ განვითარებულია და განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად ითვლება მსოფლიოში, აღმოჩნდა, რომ სკოლები არც ისე მომზადებული იყვნენ ონლაინ სწავლებაზე გადასასვლელად, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა. ამ პროცესში ბევრმა პრობლემამ იჩინა თავი. ჩემს შვილებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ. უფროსკლასელებს გაკვეთილები გაუადვილდათ ონლაინ რეჟიმში სწავლის გაგრძელება, განსაკუთრებული სირთულეები არ შეხვედრიათ, გარდა იმისა, რომ სასწავლო დატვირთვა საკმაოდ შემცირდა და, ფაქტობრივად, ორ გაკვეთილზე (სრულ კლასთან) დავიდა ყოველდღიური ურთიერთობა. კვირაში მხოლოდ ერთი მცირე შეხვედრა აქვთ პატარა ჯგუფებთან, სადაც მასწავლებლები (ცდილობენ, პერსონალიზირებული, ინდივიდუალური მიდგომები განახორციელონ და უკუკავშირის მიღებაც ხდება. უმცროსთან გაკვეთილები რთულად იყო ყველაფერი. აბსოლუტურად ვერ მოერგო ონლაინ რეჟიმში სწავლის პროცესს, ვერაფრით მოვახერხეთ მისი დაინტერესება და ჩართვა, ამას ისიც დამემატა, რომ ფიზიკურად არც ერთ მშობელს არ გვექონდა საშუალება, სასწავლო პროცესში სრულად მის გვერდით ვყოფილიყავით. ბევრ მშობელს შეეძვნა მსგავსი პრობლემა. ამიტომ, გადაწყვიტეთ, უბრალოდ შევეგუოთ ამ მდგომარეობას, გვესმის, რომ სწავლის კუთხით გარკვეულად ჩამორჩება, თუმცა, იმასაც ვხედავთ, რომ ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის. კვირაში ერთხელ მაინც, სკოლისგან ვიღებთ „ნიუსლეტერს“, სადაც სკოლის დირექტორის მიმართვა და როგორც წესი, ეს მიმართვა ასე იწყება: ნუ იქნებით მშობლები ძალიან მაკაცრები საკუთარი თავის მიმართ, გვესმის, რომ ეს განსაკუთრებული, ექსტრანორმალური სიტუაციაა და ნუ მოსთხოვთ თქვენს თავს იმაზე მეტს, ვიდრე ამ სიტუაციაში შეგიძლიათ გააკეთოთ. ასევე, გაუფრთხილდით საკუთარ ფსიქიკურ ჯანმრთელობას იმიტომ, რომ უკვე არაერთმა კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიამ და სასწავლო პროცესის, ზოგადად რუტინის არევაში რამდენიმე სირთული შექმნა ფსიქიკურ ჯანმრთელობის კუთხით როგორც ბავშვებში, ასევე მშობლებში. ამიტომ, ჩვენც ვცდილობთ, მოვერგოთ არსებულ რეალობას, მივიღოთ ისეთი, როგორც არის.

ქეთი: მთლიანობაში საკმაოდ პოზიტიური გამოცდილება მაქვს, ალბათ, ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ჩემი შვილები უკვე შედარებით დიდები არიან და უფრო მეტად აქვთ დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები, ვიდრე მცირე ასაკის ბავშვებს. ჩვენი სკოლები, ზოგადად, ძალიან მომზადებულიები დახვდნენ წლებანდელ სასწავლო წელს, რასაც ვერ ვიტყვი გასულ წელზე, როდესაც, ფაქტობრივად, სასწავლო პროცესი ჩავაგდა, ძალიან მინიმალურად, კვირაში ერთხელ, ფაქტობრივად არაფორმალურად, ხვდებოდნენ ბავშვებს და მთავარი აქცენტი მენტალურ ჯანმრთელობაზე იყო. წელს განსხვავებული სიტუაციაა, ძალიან მობილიზებულიები არიან სკოლები. სასწავლო დღე ზედმეტად დატვირთულია, დღისა რვის ნახევრიდან სამ საათამდე სრულ მობილიზებაში არიან. რა დროსაც უნდა შევიწყვილოთ მათ ოთახში, სულ ჩართული არიან – ან წერენ, ან საუბრობენ, ან გვერდზე სხედან და დავალებას ასრულებენ. ალბათ ამას ისიც განაპირობებს, რომ ამერიკაში და კონკრეტულად არიზონაში გარე ტესტები, რომლითაც აფასებენ ხოლმე სკოლების ფექტურობას, უკვე ტარდება და, ვფიქრობ, ერთგვარი შიშიც არსებობს და გარეგანი მოტივაციაც, რომ სკოლებმა მაქსიმალურად სერიოზულად წარმართონ სასწავლო პროცესი.

რა შეიცვალა? შეფასების კრიტერიუმებს რაც შეეხება, პრინციპში, იგივე დარჩა ყველაფერი და ბავშვები იმავე ტიპის დავალებებს ასრულებენ, ძალიან მცირე მოდფიკაციებით, მაგრამ დამემატა ახალი კომპონენტი, რომელიც ცალკე არ იყო მოსწავლის შეფასებაში – მოსწავლის ჩართულობა. მასწავლებლებისთვის მთავარია, გაკვეთილის მიმდინარეობისას, მოსწავლე არ დაკარგონ, რაც არ არის ადვილი, როდესაც ბავშვი, დიდიან შეუადგემდე, ეკრანთან ზის მარტო, რთულია მისი შენარჩუნება. ამისთვის სხვადასხვა სტრატეგიები აქვთ. ჩართულობას ისიც ართულებს, რომ ვიდეოკამერების ჩართვა სავალდებულო არ არის. ბავშვს თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს, სურვილის მიხედვით, ჩართოს თუ არა ვიდეოკამერა, გარდა იმ შემთხვევისა თუ თავისი საშუალო არ აქვს საწვევებელი ან ა.შ. ვფიქრობ, მთლიანობაში, კარგად გაართვეს თავი, კარგად ადაპტირდნენ და აშკარად ჩანს, რომ ეს არ ხდება ცალკეული მასწავლებლების ინიციატივების ხარჯზე.

თუ ბავშვს სჭირდება ინდივიდუალური დახმარება, მაქსიმალურ ხელმისაწვდომს ხდის მასწავლებლებს გაკვეთილების შემდეგ, განსაკუთრებით იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ ან რომლებმაც არ იციან კარგად ინგლისური, არც მათმა მშობლებმა იციან (ასეთი ბავშვებიც



სკოლაში პანდემიის პირისპირ

მიჰყავთ სკოლაში) და პირისპირ ეხმარებიან მასწავლებლები. ასე რომ, ჩვენი გამოცდილება პოზიტიურია.

თამარი: ჩვენი თანამშრომლები არ არის, მხოლოდ მართის ჩაკეტვით დროს იყო, დაახლოებით სამ თვემდე და ისიც ლაივ ზუმის გაკვეთილები ძალიან იშვიათად იყო, უფრო კორექტივების და მიწვევებით მიმდინარეობდა. საფრანგეთში, როდესაც სახელმწიფო გადაწყვეტს, სკოლა გაიხსნას, მე არ მაქვს უფლება მოვიხილოთ ონლაინ სწავლება და იშვიათად ვარ, ვატარებ ბავშვი სკოლაში იმიტომ, რომ ჩემი ბავშვი ჩანერილია სკოლაში. მოსწავლეები დილის ცხრის ნახევრიდან ხუთის ნახევრამდე სკოლაში არიან. თუმცა, საფრანგეთში არის ასეთი კანონი, რომ სკოლა აუცილებელი არ არის, აუცილებელია ბავშვისთვის განათლების მიცემა. პრეზიდენტ მაკრონს ამის შეცვლა უნდა, რომ სკოლა კანონით სავალდებულო გახდეს. ჩემი აზრით, ბავშვმა სკოლაში უნდა იაროს, ეს უმნიშვნელოვანესია არა მარტო მისი განვითარებისთვის და ცოდნის მიღებისთვის, არამედ თანატოლებთან ურთიერთობისთვის, სოციალურ გარემოში ადაპტირებისთვის. გარდა სკოლაში სიარულისა, საფრანგეთში, თუ ბავშვი აქტიურია და აინტერესებს სხვა პროექტები, სკოლისგან დამოუკიდებლად შეუძლია აკეთოს. მაგალითად, ჩემმა უმცროსმა შვილმა წარადგინა საკუთარი კანდიდატურა მუნიციპალიტეტში, გახდა მერიის თავისი სკოლის წარმომადგენელი და, ასეთ ადრულ ასაკში, მონაწილეობს აქტივობებში, რომლებიც ემსახურება, ვთქვათ, სკოლის პრობლემების გაუმჯობესებას ან პანდემიის დროს, საკუთარი იდეების მინოდებას მუნიციპალიტეტისთვის და ა.შ. ჩემს შვილს აინტერესებს გაჭირვებულებს დახმარება და ამის გამო მიიღო ამ პროექტში მონაწილეობა.

მაკა: საქართველოსა და იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ იტალია მონაწილე ქვეყნებს შორისაა, თანაბარ სიტუაციაში ვიყავით, თუნდაც, პერსონალური კომპიუტერების ფლობის ან თუნდაც კომპეტენციების მხრივ. დაგვიკვირდა რაც შეეხება, ჩვენს რეგიონში ყოველ კვირა ველოდებოდით სკოლის გახსნას და მერე, ერთ საღამოს, გავიგეთ, რომ ხვალ მივდივართ სკოლაში, რეალურად იდგა საკითხი, როგორ მოემზადო, როგორ ნახვიდე ერთ დღეში, მაგრამ მაინც ყველა მივიდა სკოლაში. გეგმა, როგორც ასეთი, არ არსებობდა, ერთია, რომ ამის საშუალებას არ გავლევს ეპიდემიოლოგიური სიტუაცია და მეორეა, ვინ იღებს გადაწყვეტილებას. ამ სიტუაციაში მარტო საქართველო არ არის.

მე არ ვარ მომზრე, რომ პატარებმა ონლაინ ისწავლონ. ბავშვმა გარკვეული უნარ-ჩვევები უნდა შეიძინოს, სანამ მეორე ეტაპზე გადავა. ჩემი შვილი მეთხე კლასშია, მაგრამ პანდემიამდე პირველი კომპიუტერი არ ჰქონდა და ვცდილობდი, არ ჰქონოდა ზედმეტად შეხება ტექნოლოგიებთან. მას შემდეგ, რაც პერსონალური კომპიუტერი მივიცე, სწრაფად აითვისა და გახდა რეალურად დამოუკიდებელი. სწორედ ონლაინ სწავლების დროს შეიძინა დამოუკიდებლად სწავლის უნარი. ის დადის სახელმწიფო სკოლაში, სადაც აბსოლუტურად განსხვავებული ტიპის სწავლებაა, ძალიან კონსტრუქტივისტული, არასოდეს გამოუყენებიათ სახელმძღვანელოები, წიგნებს თვითონ აკეთებდნენ, ანუ მთელი სასწავლო პროცესი დაფუძნებული იყო კოლაბორაციაზე, ერთად პროექტულ მუშაობაზე, ფორმალური სწავლება საერთოდ არ ჰქონდათ. როდესაც შეხუდდები დაიწყე, ჩვენ მარტოები დავიწყოთ ბავშვებთან და იყო დავალებები ვითარდებოდა, სრული კოლაფსი დაგვემართა და ბევრმა მშობელმა, როდესაც ძალიან ბევრი დავალების გადმოგზავნა დაიწყო, შემცირება მოითხოვა. ამის შემდეგ ისე გააიოლეს, რომ ჩემი შვილი მთელი კვირის დავალებებს 15 წუთით აკეთებდა. მარშანდელი სემესტრი სრული კოლაფსი იყო, პირველი ექსპერიმენტი – არც ცოდნა არსებობდა და არც გამოცდილება. სკოლები, რომლებსაც გარკვეული რესურსები ჰქონდათ და ტექნოლოგიებს იყენებდნენ, უფრო მალე გადაიწყვეტენ, ჩვენთან ეს ტექნოლოგიები არ გამოიყენებოდა და ზოგადად, იტალიელები საკმაოდ ტექნოპობები არიან, არ უყვართ ტექნოლოგიები, ცხოვრებაში სულ სხვა რაღაცებს აფასებენ. მაგალითად ესტონეთში (სადაც მე მიცხოვრია), ვერც გაიგებენ ეს რატომ უნდა იყოს პრობლემა, იქ ადამიანური ურთიერთობები არ არის პირველადი, აქ კი, სულ სხვა პრიორიტეტებია და აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიებით ურთიერთობა დიდი კატასტროფა იყო.

რეალურად, ერთი რამ გავიგეთ ყველამ, სკოლის პირველადი ფუნქცია სოციალური ურთიერთობებია. ვფიქრობ, თუ ჩემი შვილი აკადემიურად ჩამორჩა, სამაგიეროდ, განვიითარა ძალიან სასარგებლო და კარგი უნარები, ასეთი ზრდა, რასაც ახლა ვხედავ ჩემს შვილში, აქამდე არ მინახავს. კლასში გვეყავს აუტისტიური სპექტრის ბავშვი და დედამისი ამბობდა, აბსოლუტურად დამოუკიდებელია, თითქმის ყველა მშობელი აღნიშნავს, რომ ბავშვებმა ისწავლეს სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად მართვა.

ბრძნობით თუ არა მხარდაჭერას სკოლისგან, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქოლოგიური დახმარება მიიღოს ბავშვმა, ან მშობელმა, ან კომპლექსურად – ოჯახმა?

ქეთი: ამ მხარეს ძალიან სერიოზულად უყურებენ. ჩემს უფროსთან, გარკვეული პერიოდულობით, საგაკვეთილო პროცესში, სპეციალურად არჩევენ დროს, რომ ბავშვებმა შეავსონ ფსიქოლოგიური ტესტი. თავიდან არც იცოდნენ ბავშვებმა, რა იყო ამ ტესტის მიზანი. როგორც თვითონ მეუბნება, მერე ნელ-ნელა მიხვდა, რომ ცდილობენ, სიტუაციური შეცვლებით დაადგინონ, თუ არის ისეთი ბავშვი, რომელსაც შეიძლება ფსიქოლოგიური პრობლემა ჰქონდეს და შემდგომ, სავარაუდოდ, უკავშირდებიან ამ ბავშვს, მშობლებს და მათთან მუშაობენ.

გარდა ამისა, არის ერთი რამ, რაც ძალიან მომწონს უფროსის სკოლაში (უმცროსთან არა, იქ უფრო სტრუქტურირებულად მუშაობენ) – ყოველდღე, დაახლოებით ნახევარი საათი, ე.წ. არაფორმალური საათი აქვთ, როდესაც მოსწავლეებს შეუძლიათ შეხვდნენ თავიანთ მენტორ მასწავლებლებს, სხვა ბავშვებთან ერთად და ისაუბრონ სხვადასხვა საკითხზე. იმავე საკონტაქტო ლინკით, ბავშვებს შეუძლიათ, სთხოვონ მასწავლებელს, რომ

სხვადასხვა ჯგუფებში გადაინიშნონ და იქ დავალებასთან ან ნებისმიერ სხვა საკითხთან დაკავშირებით ისაუბრონ. ფაქტობრივად, ქმნიან ერთგვარ დასვენების შესაძლებლობას, ოღონდ ონლაინ სივრცეში, რომ ბავშვები გაკვეთილების დროს არ ეკონტაქტდებიან ერთმანეთს. ცხადია, მშობლები, მუდმივად ვიღებთ ინფორმაციას, თუ გვაქვს რაიმე სირთულეები ან ვხედავთ, რომ ჩვენს ბავშვს აქვს რაიმე პრობლემა, ვიცით იმ ადამიანების კონკრეტული სახელები და გვარები, თავისი საკონტაქტო ინფორმაციით, ვისაც შეგვიძლია დავეკავშირდეთ. ის, რომ ეს არ არის ზოგადი ნომერი და ყველა მეთორმეტკლასელისთვის გათვალისწინებულია სკოლის რომელიმე კონკრეტული თანამშრომელი, მაძლევს იმის განცდას, რომ ეს ადამიანები ნამდვილად არიან ამ ზარების მოლოდინში და აქვთ მზაობა, დაგვეხმარონ.

სხვადასხვა საგნის მასწავლებლები მშობლებთანაც რეკავენ პერიოდულად და გვესაუბრებიან, შედეგ ჩვენი განწყობიდან გამომდინარე, იღებენ ინფორმაციას, რა ტიპის დახმარება შესაძლებელია გარკვეულ ოჯახებს.

თამარი: ფსიქოლოგიური დახმარების თვალსაზრისით, პანდემიის პირობებში, განსაკუთრებულს ვერაფერს ვიტყვი, საფრანგეთში ასეთი არაფერი შემიძინა, ალბათ, უფრო ინდივიდუალურად ხდება. მოგეხსენებათ საფრანგეთში, 2015 წლიდან მოყოლებული, ტრაგედიას ტრაგედია ემატება – „შარლი ებლოს“ რედაქციაში შეჭრა, ახლახან ისტორიის მასწავლებლის მკვლელობა ისლამისტი ექსტრემისტების მიერ... ყველანაირად ცდილობენ სკოლები და მთელი საზოგადოება, რომ ბავშვებს მიაწოდონ ინფორმაცია ისე, რომ არ შეამჩნონ და მათ რეალობა იცოდნენ. საფრანგეთის სიტუაციიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიური დახმარების მიმართულება პანდემიამდეც მუშაობდა და ბავშვები უკვე მზად არიან ყველა სიტუაციაში ადაპტირებისთვის. ყველა სკოლას ჰყავს ექიმი, სოციალური დამცველი და ა.შ. ეს ყველაფერი მკაცრად კონტროლდება.

მაკა: როგორც უკვე აღვნიშნე, იტალიური საზოგადოება სოციალურად განსაკუთრებულად აქტიური საზოგადოებაა და აქედან გამომდინარე, ძალიან მძიმეა ეს ჩაკეტილობა. ეს არ არის ის ხალხი, რომელსაც წუნწინი უყვარს, მაგრამ ხშირად ამბობენ, როგორი რთულია და მძიმე ამ იზოლაციის გამო მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

სკოლაში თავიდანვე გაიხსნა ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური, მაგრამ მე არ მიმიმართავს. ჩვენ პრევენციულად დაგვიკვირდა ფსიქოლოგის ჩარევა, ოღონდ სკოლაში არა. ფსიქოლოგმა რომ შეფასა, მითხრა, პრობლემა არ აქვს, თუმცა ვაშინევიდი ბავშვს, რომ იზოლაციის შემდეგ ავორაფობილი ნიშნები გარჩნდა, არ უნდავად გარეთ ვასვლა. ვიცი, რომ ეს ზოგადი პრობლემაა, მგონი კულტურულ ფარგლებსაც კი სცდება ეს სიმპტომი. რომ გაიგო სკოლაში უნდა ნასულიყო, ტირილი დაიწყო იმიტომ, რომ მისთვის ძალიან მძიმე აღსაქმელი იყო, როგორ უნდა გასულიყო გარეთ და დაბრუნებოდა რეალურ ცხოვრებას (სახლში გარკვეულ კომფორტის ზონაში იყო). დახმარების ცენტრები არა მარტო სკოლებში, უნივერსიტეტებშიც გაიხსნა.

როდესაც ეს ხანგრძლივი ლოკდაუნი დამთავრდა, პირველი, რაც გააკეთეს, სოციალურ ინტეგრაციაზე იზრუნეს. ჩვენს უბანში, კერძო ასოციაციას და ბანკის დანიშნულებით, გაიხსნა ცენტრი – საზოგადოებრივი დღის ბანკი, რომელიც ძალიან დახმარა ბავშვებს, მეც ნაყოფიანე ბავშვი და ძალიან ემპათიური ვიყავით. ყველაფერი ხარისხიანად იყო გაკეთებული – არაჩვეულებრივი გასართობები ღია სივრცეში, ოთახებში არ ისხდნენ და აქედან გამომდინარე, სრულიად უსაფრთხო იყო. დაახლოებით ერთ თვე, ჩემი შვილი სოციალიზაციას განიცდიდა და ეს პრობლემა გადავლახეთ.

ნინო: ინგლისში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს უბნის მუნიციპალიტეტთან. გარდა იმისა, რომ კონკრეტულ სკოლებს აქვთ შემუშავებული პრევენციული და დახმარების მექანიზმები ბავშვების და ოჯახების ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის, ასევე უბნის ხელმძღვანელობაც ინტენსიურად ზრუნავს ამაზე. თუმცა, მაინც, როგორც ვხედავ, ოჯახების პროაქტიულობაზეა ბევრი რამ დამოკიდებული. ვისურვებდი, რომ სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყოფილიყო გაკეთებული, მით უმეტეს, ინგლისში ამის რესურსები ნამდვილად არის.

ანა: რაც გავიგე, რომ სკოლა ისხნება, მას შემდეგ აქტიურად ვითხოვ სკოლისგან, რომ ისაუბრონ არა მხოლოდ ჰიგიენურ ნორმებზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ უნდა იზრუნონ ბავშვების მენტალურ ჯანმრთელობაზე, ჩაუტარდებთ თუ არა მათ ტრენინგები, იმუშაებთ თუ არა მათთან ფსიქოლოგი და რა ფორმით მისცემენ მათ საშუალებას, ისაუბრონ ერთმანეთს იზოლაციაზე. სამწუხაროდ, წერილი, რომელიც სკოლიდან მივიღე, მხოლოდ ტექნიკურ საკითხებს ეხებოდა, არაფერი იყო ნათქვამი არც ფსიქოლოგზე და არც მენტალურ ჯანმრთელობაზე. როცა პროაქტიულად მოვიხილავ დამინისტრაციისგან პასუხს, დამამშვიდებს, რომ ამაზე იმუშავებენ და ველი მოუთმენლად.

ზაფხულში, როცა საქართველოში შემცირდა შემთხვევები, სპეციალურად დაინიშნე ოფისში სიარული, რომ მენახა, რამდენად შეეფერებოდა ჩემი შვილი იმას, რომ მთელი დღე ვეღარ გვხვავდა მშობლებს სახლში. შევატყვე, რომ პირველ დღეებში ჰქონდა განმარტების შფოთვა და ახლაც მოველი, რომ იზოლაციის შემდეგ აუცილებლად ექნება ეს განმარტების შფოთვა (პატარა ასაკში აქვთ ხოლმე ბავშვებს მშობლების მიმართ).

ხუთი თვის პატარა გვეყავს სახლში და გუშინ მეკითხებოდა, სკოლაში რომ წავალ და დავბრუნდები, შეიძლება, ჩავებუტოო, ავუხსენი, რომ მოგვინებს თავის შევკვებას. მაშინ მითხრა, იქნებ ჯობია არ წავიდეო, არადა ვიცი, რომ ძალიან უნდა წასვლა. აი, ასეთ გაურკვევლობაშია ბავშვი. მისთვის კიდევ ბევრი რამის ახსნა მომიწევს, კიდევ ბევრი სახლე იქნება, თუმცა, ამ ერთი წლის განმავლობაში, მშობლები ვეცდები, რომ მას ფსიქოლოგიურად დავხმარებოდით. მართალია ვითხრა, ყველაზე ნაკლებად მის აკადემიურ მოსწრებაზე ვღელავ, რადგან ეს მისი ბავშვიური შესაძლებლობებისთვის გადალახვადია, ფსიქოლოგიურად კი ისეთი დიდი ზიანი მიიღო, ვფიქრობ, წლები დასჭირდება,

რომ გადალახოს. ხომ გვახსოვს ჩვენი 90-იანი წლების ბავშვობა, რომელიც, სამწუხაროდ, არსად არ გაქრა, დღემდე ვხედავთ მის შედეგებს.

ენდობით თუ არა ინსტიტუციებს და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს

მაკა: ვერ გეტყვით, რომ ზედა დონის ან ქვედა დონის ინსტიტუციებს ვენდობი, სკოლის პრობლემაზე გვაქვს და დირექტორისაც. ასე რომ, ვერ ვიტყვი, რომ ბოლომდე ვენდობი ინსტიტუციებს, ნამდვილად არ მაქვს ამის განცდა. ზოგადად, დღეს რთულია ენდო ინსტიტუციას ბოლომდე, ისეთი კრიზისი დგას მსოფლიოში.

თამარი: როგორც მაკამ აღნიშნა, რთულია დღეს ენდო ინსტიტუციებს იმიტომ, რომ ეს ინსტიტუციებიც ადამიანების შექმნილია. პანდემიური პირობები ჩვეულებრივი ამბავი არ არის, ყველასთვის ახალია, ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, ვენდობი ჩემს თავს და ესეც გამოცდილებამ მოიტანა. ხანგრძლივმა ჩაკეტვამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ აუცილებელია მშობლის ჩართულობა ბავშვის განვითარებაში და რაც მეტად არის მშობელი ჩართული, მით უკეთ ვითარდება ბავშვი. ამ პანდემიის დროს, რაღაცნაირად ვსწავლობთ მშობლობას, განსაკუთრებულ სიტუაციაში მართვასაც და ცხოვრებასაც. ამიტომ მინდა საქართველოში მცხოვრებ მშობლებს ვუთხრა, რომ ბევრს ვფიქრობ მათზე და თანადგომას ვუცხადებ. ისეთი ვითარებაა, თითქოს ბოლო წერილი, დასასრული არ ჩანს, წარმომადგენია საქართველოში, იმ პირობებში, როდესაც არც სკოლა სათანადო დონეზე და ონლაინ რეჟიმში, როგორც მიხვდი, კარგად ვერ მუშაობს, რა რთულ მდგომარეობაშია მშობელი და ბავშვიც. შემდგომ სესიებზე შევეცდები გაგიზიაროთ ის პროგრამები და დეტალურად გესაუბროთ იმაზე, რაც ჩვენ იმ სამი თვის განმავლობაში გავიარეთ და რაც განმავითარებელი აღმოჩნდა არა მარტო ბავშვისა და მშობლის, ასევე, ბავშვისა და მასწავლებლის, და რაც მნიშვნელოვანია, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ცვლილებისთვის.

ქეთი: მე არ მაქვს მიზეზი, რომ მათ უნდობლობა გამოვუცხადო. პირიქით, რამდენიმე მიზეზია, რის გამოც უფრო მეტი ნდობით ვარ მათ მიმართ განწყობილი: პირველ რიგში, ნამდვილად ვგრძნობ ზრუნვას. განცდა იმისა, რომ სასკოლო ოლიქსისთვის, რომელიც ჩემი შვილები სწავლობენ, მნიშვნელოვანია ჩემი შვილების ბედი, ნამდვილად მაქვს; მეორე – გასაგებია, რომ ძალიან უპრეცედენტო სიტუაციაში ვართ, მაგრამ ისინი მაქსიმუმს აკეთებენ იმისთვის, რომ სათანადოდ დაგვემონ და მაქსიმალურად ნაკლებად სტრესული გახადონ ეს ყოფა. აქ დაუფრევავი, მოულოდნელი სთურპრიზები არ ხდება, პირიქით, ყოველთვის გვამზადებენ და გვეუბნებიან, რა შემთხვევაში რა შეიძლება მოხდეს; ნდობას ინვესტ ასევე ისიც, რომ კარგი კომუნიკაციაა, მუდმივად ვიღებთ ინფორმაციას, სამუშაოვო საბჭო რომ შეიკრიბება, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ან რას იმეორებენ, აუცილებლად გვანერუნენ ამის შესახებ. თუ ჩვენს ოლქში რაიმე შესაძლებლობა გაჩნდება, კერძო ორგანიზაციის მხრიდან, რაც ჩვენი შვილებისთვის შეიძლება იყოს საინტერესო, დაუყოვნებლივ გვანდინან; და კიდევ, მთავარი, რაც ვფიქრობ განსახვავებს სიტუაციას, საქართველოსა და ამერიკაში, აქ ძალიან ღიად საუბრობენ პრობლემებზე, არანაირად არ ცდილობენ, წარმოაჩინონ, რომ ყველაფერი კარგადაა. მაგალითად, ჰობრიდული სწავლების შემთხვევაში, იყო საუბარი, რომ გარკვეული პრობლემები შეიქმნა, არ დაუშლავთ და არ წარმოუჩინათ ეს პროცესი უნაკლოდ. ასე რომ, მათი გულწრფელობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აი, ასეთი ზოგადი პოზიტიური განწყობა მაქვს.

ანა: კომუნიკაციის არარსებობამ, ბავშვების არაფრად ჩაგდება და მათზე არ ზრუნვამ, მიგვიყვანა მე და ჩემი მეგობრები იქამდე, რომ საპროტესტო აქცია გავმართეთ. მთელი წელი, ძალიან დიდი სიფრთხილით ყველა რეგულაციას ვიცავდით და ხმას არ ვიღებდით, მორჩილად მივიღებთ მთავრობის რეგულაციები. თუმცა, ერთი წელი რომ გავიდა და დავინახე, რომ ამაზე მუშაობა კი არა, ფიქრიც არ მიდის, ძალიან დიდი დანაშაულის გრძობა გამიჩნდა ჩემი შვილის წინაშე და ეს იყო მთავარი მოტივაცია, როცა გადაწყვიტე პროტესტის გზისთვის მიმართა. მაგალითად, სკოლას შეუღებოთ თქვას, რომ მე ხმას ვერ ამოვიღებ იმიტომ, რომ სამინისტროს აქვს პოლიტიკური ბერკეტები, რომელიც შეიძლება სკოლაზე ცუდად აისახოს ან მასწავლებლები ვერ ამბობენ თავიანთ სათქმელს იმიტომ, რომ მათაც რაღაცის ემინათ. სკოლის დირექტორმა მითხრა, თქვენი იმედ მაქვს, მშობლებისო... დღესაც რეგულაციები და უნებები, როგორ მოიტყვენ სკოლაში ბავშვები, უნდა ეძებო სამინისტროს ვებგვერდზე. გაზაფხულზე ვითხოვდი, რომ ბავშვებს, მათთვის გასაგებ ენაზე, დალაპარაკებოდნენ გადაწყვეტილების მიმღები პირები, როგორც სხვა ქვეყნებში, რომ მათთვის ეს ცვლილებები შედარებით უმტკივნეულო ყოფილიყო. მერე იყო სექტემბერი, როცა ბავშვები ემზადებოდნენ სკოლაში და ბაღში წასასვლელად და წინა საღამოს უთხრეს, რომ კიდევ ორი კვირით გადართობას არ ჰქონდა გეგმა და კომუნიკაცია ამ კონკრეტულ სფეროში.

ნინო: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემა რჩება დღეს ინგლისში, უნდობლობის საკითხი, პრინციპში, არ დგას იმიტომ, რომ ყველა ეტაპზე ადამიანის ინფორმირებულობის ხარისხი ძალიან მაღალი იყო. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლები ყოველდღე დეტალურ ანგარიშს გვაბარებენ, ინფორმაციას ვიღებთ სკოლიდანაც, კომუნიკაცია აქვთ არა მხოლოდ ჩვენთან, მშობლებთან, არამედ ბავშვებთანაც. ბუნებრივია, წინასწარ გვამზადებენ, რა გველოდება უახლოეს კვირებში, შეიცვლება თუ არა სიტუაცია. ვენდობი თუ არა ადამიანებს, ვინც ამ პროცესებს მართავენ, ნდობა მაქვს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კმაყოფილი ვართ იმით, რა სიტუაციაშიც ვართ.

